

ნაბაღულო

მკვლევარი
ნიკოლოზიძე
60/2
MS

140
2003/2



მოგაგალი როსოსანი ნოღარ ღიბრაძე



პატარა შარინა ნინა ღიბრაძე




თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, 1 კლასი, ხელმძღვანელი მარინა სხევეთაძე

საქართველოს შიმშილები



თბილისის
24-ე საშუალო
სკოლა,
IV კლასი,
ხელმძღვანელი
იზაბელა
კუხიანიძე



დას
მენარჩიშვილი

ძმები ლუკა და
ნოზღაზ გახარები



თბილისის
24-ე საშუალო
სკოლა,
IV კლასი,
ხელმძღვანელი
ეკა
ვლადიშვილი



ნაკადული


საყვანვილო ჟურნალი
2003 წ. №5

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიძვრულთა მამულიძვილთა მესეეუბრძმით დეატსემული პიბრული ქართული საცემეწვილთა ჟურნალის ნათუბმბრეა ამბბბბბბ. მბგვიანრბით მას სასელი მერდვალა და „პიბნრბი“ ერბდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პიბრვანდელი სასელით გამბდის.

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ვაჭბი“	2
„ოლოშერი“	5, 11, 23, 25
თენგიზ ჩალაური. მძიმე ნანადირევი (მრთსრობა)	6
საკუთარ თავთან მისასკლელი გზების ძიება	10
ყოველმხრის ვემაკული (რაინდთა კლუბი)	12
დასამასსოვრეპელი სახელები	14
როგორ ზომავდნენ დელამიფას (პიბხვა – თქვენი, კასუხი – ჩვენი)	15
საკონტროლო ვერა თემაგე: „სახელის გაბმვას თავის გაბმვა სჯობია“	16
საბანგაშო ინფორმაციას სპილოები ვმეგბით გაღასცემენ (გუნეგის კარი)	18
მოსვავლეთა ღლეგის ქრონიკა	19
ერთი თქვენგანი	21
ღამვვილოგება კირველ მასვავლეგელთან	22
მსოვლიო კილით კიდეგდე	24
თაიგული და მისი ვეღგენა	26
თუ გინდა, რომ მაღალი გაიზარდო	27
ორი ტმბტი თინეიჯერეგისთვის	28
როგორ ვიშუგაოთ ვიგნვა	29
გამოგადგები	30
სიცილის გაკვეთილი	31
იწილო-გიწილო	32

რედაქტორი მანანა გელაშვილი	<p>მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14 ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84. ინდექსი: 76157 ფასი 1 ლარი რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში</p>
---------------------------------------	--



"ნაპერუნი" საინფორმაციო სამსახურში "ფაქსი"



ღუშეღა მოსწავლეებ ქელსიის მუხეზლოზან ხელი ნაუზუენს

ღუშეთის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს თავისი წვლილი შეეტანათ წლეულს ღუშეთში დაწყებული ეკლესიის მშენებლობაში და ამ მიზნით საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სკოლის ვაჟთა ფოლკლორულმა გუნდმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა და მხატვრული კითხვის წრის წევრებმა. შემოსული თანხა - 900 ლარი მთლიანად გადაირიცხა ეკლესიის მშენებლობის ფონდში.

კონფერენცია თეზაჟი „ჩვენს საქართველოს შვილები ვართ“

თბილისის 44-ე, ძმები კაკაბაძეების სახელობის სკოლაში გაიმართა კონფერენცია თემაზე „ჩვენც საქართველოს შვილები ვართ“, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის ქართული და რუსული სექტორების მოსწავლე-მასწავლებლებმა. მე-

ცხრეკლასელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს მოხსენებები: „ბერძნები საქართველოში“, „უკრაინელები საქართველოში“, „რუსეთისა და ქართველების თანაცხოვრება“, „ქურთები და იეზიდები საქართველოში“. მეშვიდეკლასელთა მიერ მომზადებული რეფერატები კი გაერთიანებული იყო რუბრიკით „მე თბილისელი ვარ“. კონფერენციაზე წაკითხული ყველა თემა ხელნაწერ ალმანახად აიკინბა.

ჯილოჯი ესტაჟის პატანა ვანსქელაჟებს

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა ქართული ესტრადის ხუთი პატარა ვარსკვლავის - თეკა ჯამბურიას, მარიამ როინიშვილის, სალომე გასვიანის, ნინო ქარსელაძის და ზუკა ხუციშვილის დაჯილდოების ცერემონიალი „ვევა“. ნორჩ მომღერლებს გადაეცათ დიპლომები „ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიღწეული წარმატებები-სთვის“. ხუთივე ვარსკვლა-

ვმა საკუთარი რეპერტუარიდან ხუთ-ხუთი სიმღერა შეასრულა. მსმენელებმა ყველა სიმღერა ფონოგრამით კი არა, ცოცხალი შესრულებით მოისმინეს. ესტრადის პატარა ოსტატებს უფროსი კოლეგებიც ეხმარებოდნენ: თამრიკო ჭოხონელიძე, მერაბ სეფაშვილი, გიო ხუციშვილი, „ქუჩის ბიჭები“.

თვითმმართველობის ერთი ღლა

გრიგოლ ხანძთელის სახელობის №1 ექსპერიმენტულ სკოლაში თვითმმართველობის დღეს თავად მოსწავლეთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს საგანგებოდ მიწვეული ოთხი პატივცემული პროფესორისგან შემდგარი ჟიური აძლევდა შეფასებას. დადებითი შეფასება დაიმსახურა ყველა „პედაგოგმა“: ნინო ტყემალაძემ, ლევან დარასელიამ, ანი ჩიგოგიძემ, ანა დევიძემ, ნინო ჭიჭინაძემ, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა წილად მეთექვსმეტი თიკო ცხვედიანის გაკვეთილს ისტორიაში.

სკოლა დღეს და სკოლის

ყურნალის სტუმარია თბილისის კომენსეის სახელობის 24-ე საშუალო სკოლა. სკოლაში 41 კლასი, 1500 მოსწავლე და 104 მასწავლებელია. დირექტორი გახლავთ ქალბატონი ლია იოსელიანი.

სკოლის შენობაში ფეხის შედგმის უმაღლესი გეცემით მთავარ კედელზე გამოსახული ხატოვანი პანო, რომლისთვისაც მხატვარს გარკვეული სიმბოლური დატვირთვა მიუნიჭებია. ეს პანო სკოლის უფროსკლასელთა ნამუშევარია, იდეა და თემა კი – საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი – მათ სკოლის ამერიკელმა მეგობრებმა უკარნახეს და სხვათა შორის, საღებავებისა და სხვა საჭირო მასალის თანხაც მათვე გაიღეს. საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ამერიკელებს ოცდამეოთხე საუკუნეებმა უმასპინძლეს, თითქმის მთელი საქართველო დაატარეს, მათ კი ჩვენი ისტორიით, კულტურით, ხალხითა და მიწა-წყლით მოხიბლულებმა ამგვარი პანოს შექმნის იდეა შესთავაზეს მასპინძლებს. ამერიკელები სხვა მხრივაც ეხმარებიან სკოლას, უგზავნიან სათანადო ლიტერატურას, სასკოლო ნივთებს და სხვა. გარდა ამისა, სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებს პერიოდულად იწვევენ შტატებში სტაჟირებაზე, თავად ქალბატონი ლიაც გახლდათ ამ მიზნით კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი თვით.

2026

დღესი კატეგორიის მასწავლებელთა შორის 18 სწორედ ინგლისურის სპეციალისტია (სკოლის დირექტორი თავადაც ამ საგნის მასწავლებელი გახლავთ). ამის შესახებ ქალაქშიც იციან და ამიტომაც, ვისაც ინგლისური ენის სრულყოფილად დაუფლება უნდა, 24-ე სკოლისკენ ისწრაფვის. ინგლისურის გაღრმავებული სწავლება აქ მეორე, ექსპე-

წელს კიდევ ერთმა ინგლისურის მასწავლებელმა, ელენე გოგოლაძემ დაიმსახურა ასეთივე კონკურსში გამარჯვებისთვის.

მასწავლებლების შემხედვარე, მოსწავლეებიც მარჯვობენ და საკუთარი ცოდნით დაიმედებულები, თამამად მიდიან შტატებში სასწავლებლად. ბოლო დროს ქეთი ჩიხრაძე და ირაკლი წულაძე იყვნენ წასულები და იქ არც ინგლისურის და არც ზოგადი განათლების მხრივ ტოლი არავისთვის დაუდიათ.



დირექტორი ლია იოსელიანი

სკოლის მოსწავლე-მასწავლებლები ჩეხეთთანაც, უშუალოდ კი პრადის ერთ-ერთ გიმნაზიასთანაც მეგობრობენ. ამ მეგობრობას დასაბამი მას შემდეგ მიეცა, რაც სასწავლებელს დიდი ჩეხი პედაგოგისა და მოაზროვნის იან ამოს კომენსეის სახელი მიენიჭა. ახლახან ქალაქის საზოგადოებრიობამ ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და ჩეხ სტუმრებთან ერთად საზეიმო ვითარებაში აღნიშნა სკოლისთვის კომენსეის სახელის მინიჭების 50 წლისთავი. სკოლაში იმ დღეს დიდი სტუმრიანობა ჰქონდათ. სტუმარ-მასპინძელთა გასახარად სკოლაში არსებული ჩეხურის შემსწავლელი წრის წევრებმა ამ ენის, ჩეხეთის ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის ჩინებული ცოდნა გამოამჟღავნეს. საზეიმო კონცერტში ჩართულმა ჩეხურმა ხალხურმა ცეკვებმა და სიმღერებმა კი საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

რიმენტულ ჯგუფებში კი პირველი კლასიდანვე იწყება. 24-ეს ინგლისურის მასწავლებლები, როგორც წესი, ყოველთვის არიან იმ კოლეგებს შორის, ვინც აშშ-ს საელჩოს მიერ ამ საგნის მასწავლებლებისთვის გამოცხადებულ კონკურსებში იმარჯვებენ. შარშანწინდელ კონკურსში გამარჯვებული ნანა ბლუაშვილი, რომელიც 1999 წელს წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარეს, შტატებში სტაჟირებაზე გაიგზავნა, ახლა კი თავად არის ტრენერი და სხვა კოლეგა-მასწავლებელთა დახელოვნებას ხელმძღვანელობს. ამგვარ კონკურსებში გამარჯვებას უშუალოდ მასწავლებლების გარდა, თავად სკოლისთვისაც მოაქვს პრაგმატული შედეგი. მაგალითად, ქალბატონ ნანას მიერ დამსახურებული კომპიუტერული ტექნიკა დღეს მთელ სკოლას ემსახურება და აქ იმედი აქვთ, რომ სულ მალე მეორე, ბოლო გამოშვების კომპიუტერსაც მიიღებენ, რომელიც

დაიმსახურა. სკოლის მოსწავლეები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ ჩეხეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენებში და დიდ წარმატებებსაც აღწევენ. ასე იყო შარშანაც, როცა გიორგი ანჯაფარიძემ გამარჯვა თემატურ გამოფენაზე „ჩეხეთი ათასწლეულების მიჯნაზე“ და მისი ნამუშევარი გაეროს შენობაში გამოსაფენად გაიგზავნა. საგანგებოდ ამ დღეებისთვის პედაგოგმა თამარ ბარისაშვილმა, რომელიც ამავე სკოლის კურსდამთავრებული გახლავთ, მოამზადა საიუბილეო კრებული 24-ე სკოლის კურსდამთავრებულთა შესახებ. უფრო ადრე კი გამოიცა კიდევ ერთი აქაური პედაგოგის, ჯენარო თაბაგარის მიერ შედგენილი ქართულ-ჩეხური სასაუბრო.

24-ე სკოლელთა მეგობრობის კიდევ ერთი მიმართულებაა თურქეთი. აქაურები შ ა ვ ი ზ დ ვ ი ს

გაგრძელება მე-4 გვ.



სკოლა დღეის და სკოლის

უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობენ ხოლმე ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებებში, კონფერენციები იქნება ეს თუ კონკურსები. დემირელის სკოლაში მოწყობილ ბავშვთა ნახელავის გამოფენაზე სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ხელსაწყო-ნაკეთობებით წარსდგნენ. ბიჭებმა იქვე დამზადებული მოძრავი გე-

საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა, მომდევნო წელს კი ეს წოდება მისმა კოლეგამ მზია გიორგაძემ დაიმსახურა. მასწავლებელთა შემდგომ დაოსტატეხას ხელს უწყობს სკოლაში არსებული ინოვაციის ცენტრი (ხელმძღვანელი ელენე გოგოლაძე), რომელიც ძირითადად აღზრდის პროცესში სიახლეთა დანერგვაზე არსებულ ალტერნატიულ სახელმძღვა-

ვენ. მასწავლებელთა ზრუნვასა და გარჯას მოსწავლეთა ძალისხმევაც ემატება. რამდენიმე წელია სკოლაში მოსწავლეთა პარლამენტი მოქმედებს (თავმჯდომარე ცირა ბესელია, თავმჯდომარის მოადგილე თეოდ ნიკურაძე), რომელიც დამოუკიდებლად, მასწავლებლებისა თუ სკოლის ხელმძღვანელობის ჩაურევლად აწესრი-



ომეტრიული ფიგურებით და გონივრული ამოცანების ამოხსნით ისახელეს თავი, გოგონებმა კი ნაქსოვ-ნაქარგით. შარშან განათლების ხაზით საქართველოს ათი სკოლის დირექტორი ეწვია თურქეთს, მათ შორის 24-ე სკოლის დირექტორიც გახლდათ. სკოლაში არსებული მეგობრობის კლუბის დარბაზში სამივე ამ ქვეყანას - აშშ-ს, ჩეხეთს და თურქეთს ცალ-ცალკე კუთხე აქვს გამოყოფილი, სადაც გამოფენილია მათი სახელმწიფო სიმბოლიკის ატრიბუტები, საცნობარო ლიტერატურა, მათთან ურთიერთობის ამსახველი ფოტოსურათები, წიგნები, საჩუქრები და ა.შ. აქვე, ამ დარბაზში, ეწყობა ხოლმე თემატური კონფერენციები, შეხვედრები, საქმიანი საუბრები.

ინგლისურის გაღრმავებული სწავლება ოდნავადაც არ ჩრდილავს დანარჩენი საგნების მნიშვნელობას. აქ ყველა საგანი უმაღლეს დონეზე ისწავლება, ყველა მასწავლებელი თავისი საგნის ჭეშმარიტი პროფესიონალი და იმავდროულად გულისხმიერი აღმზრდელია. 24-ე სკოლის პედაგოგ-მასწავლებლები მუდმივად ფიგურირებენ საუკეთესოთა ნუსხაში. ისტორიკოსი ნანა კაჭარავა 1999 წელს წლის

ნელოთაგან სკოლისთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაზე, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემაზე მუშაობს. თავად ქალბატონი ელენე გახლავთ სწავლების პირველი საფეხური-სთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს „ჯადოსნური სამყაროს“ ავტორი, დაწყებითი კლასებისთვის არის განკუთვნილი ლია ბედინაძის სახელმძღვანელოც, რომელიც ყოფაქცევის კულტურაზე ესაუბრება პატარებს. სკოლის სამი პედაგოგი, როგორც ნოვატორი მასწავლებლები ერევანში დაწყებითი სწავლების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე მიიწვიეს.

სკოლა საბაზოა და ამდენად აქ შშირად ტარდება განათლების სისტემის რეფორმით გათვალისწინებული სიახლეების აპრობაცია, ტესტირებები, კონკურსები. ერთ-ერთი ასეთი ბოლოდროინდელი კონკურსი იყო პითაგორას სახელობის საქალაქო კონკურსი მათემატიკაში, რომელშიც სხვებთან ერთად მასპინძლებმაც გამოიჩინეს თავი, სკოლის ნორჩი მათემატიკოსები საერთაშორისო მათემატიკურ თამაშ „კენგურუმიც“ სისტემატურად მონაწილეობენ და აქაც წარმატებებს აღწე-

ვენ. გებს სხვადასხვა სერიოზულ საკითხს. ამას წინათ სხლომაზე ის მოსწავლეები დაიბარეს, რომლებსაც არადაამყაფიფილებელი ნიშნები გამოურათ. მასწავლებლებმა დღემდე არ იციან, რა უთხრეს პარლამენტარებმა ამ ბავშვებს, რა მეთოდი იხმარეს, დაუყვავეს თუ გაუჯავრდნენ, ის კი ცხადია, რომ პარლამენტის სამუშაო ოთახიდან გამოსულები კარგა გვარინანდ შეფუცხუნდნენ და გარდა იმისა, რომ უკვე მიღებული დაბალი ნიშნები გამოასწორეს, მას შემდეგ არც ერთხელ არ შეურცხვენიათ თავი.

ზომ თითქოს ამდენი ვისაუბრეთ 24-ე სკოლაზე, მაგრამ ერთი ამდენი, თუ უფრო მეტი არა, უთქმელი დაგვრჩა. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენს შურნალსა და სკოლას შორის დამყარებული ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება და ჩვენ საშუალება გვექნება უფრო სრულად გიამბოთ სასწავლო დაწესებულებებზე, სადაც საზოგადოების ღირსეულ მოქალაქეებს, საქვეყნო საქმის გულშემმატკივრებს, საფუძვლიანად და მრავალმხრივ განათლებულ, ქართული ცნობიერების ახალგაზრდობას ზრდინა.



რბ პარბი სარ, ბაზაფსულო!

როგორც იქნა, მიხვდა ბებერი ზამთარი, რომ ყველას მოაბეზრა თავი, აივრა გულა-ნაბადი და უკვალოდ გაქრა.

შემობრძანდა კეკლუცი გაზაფხული. ჰაერში სასიამოვნო სურნელი დატრიალდა. თავი ამოყვეს პირველმა ყვავილებმა – იებმა, ენძელებმა და ყოჩივარდებმა. მზესაც უხარია ამოსვლა, რადგან უფრო დიდხანს ანათებს და მის სხივებსაც მეტი ძალა აქვთ. მერცხლებიც მოფრინდნენ თბილი ქვეყნებიდან და საამური ტყეჭიკით აყრუებენ არემარეს.

გაზაფხული თავისი სილამაზით სიბლავს და აჯადოებს ყველა სულიერს. მზიანი და თბილი ამინდები ადამიანსაც კარგ განწყობილებასზე აყენებს, დროებით მაინც ავიწყებს თავის დარდს და სატკივარს. რა კარგი ხარ გაზაფხულო! მინდა შენი დღეებით ლამაზი და იმედიანი იყოს ჩვენი ცხოვრება.

თონა ჩივაძე
V კლასი



სამკაულია ღამისა მთვარე

ღამეა მშვიდი...
ნეტავი რატომ?
იქნებ ინახავს
დიდ საიდუმლოს,
შიშობს,
ვერ მანდობს. მისი სიბნელე,
ასეთი სევედა,
საიდუმლოსთვის
თუ არის ნეტავ?
გაღიმებული
სახე ღამისა
ჯერ არ მინახავს,
მხოლოდ – მთვარისა.
მთვარე ციმციმა

მარგალიტივით
ძვირფასი ქვაა,
სამკაულივით რომ ჰკიდია
მწუხარე ღამეს
დაბინდულ ყელზე.
ღამის გულია
თბილი და მშვიდი,
როგორც დედისა
წყნარი და ტკბილი.
სვეტლანა პეტრიაშვილი,

სვეტლანა პეტრიაშვილი,
VI კლასი

სისარტყელა

კოკისპირულად წვიმდა. ირგელივ ჩამობნელდა. მოწყენილი ვიჯექი სახლში. წიგნის კითხვა დავიწყე. უცებ ოთახში რაღაცამ გაიბრწყინა. გავიხედე და დავინახე, რომ ცის კამარაზე ღამაზ რკალად გადაჭიმულიყო ცისარტყელა. „რა ჯადოსნური ფერებია?“ – წამოვიძახე გაოცებულმა. წითელი, ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი, იასამნისფერი, ვარდისფერი და ცისფერი ფერები ნახად ლივლივებდნენ ცაზე, ათასფერად ბრწყინავდნენ და გარემოს ასხივოსნებდნენ.

ჯადოსნური ფერებო! დიდხანს, დიდხანს ინარნარეთ ცაზე!“ – ვჩურჩულებდი ჩემთვის და გაოცებული ცას თვალს არ ვაშორებდი.

თეა წიქვაძე,
V კლასი



მარიამ აბულაძე, V კლასი

თეზიზ ჩალყური

მძიმე ნახადირევი

მოთხრობა

ბაყბაყ დევის დამამარცხებელ მზეჭაბუკივით ამაყად გაჯგიმული მოაბიჯებდა, თავადერილი და სარგადაფლაპულივით წელგამართული, ფეხებს მუხლუბში არც ხრიდა, გაჩაჩხული მოჭქონდა. ირგვლივ სოფლის წვრილფეხობა ეხვია, გარს ურბენდნენ, ყაყანებდნენ და ბიჭობას უქებდნენ.

— გლეჯო, შე ძველო, სად მოჰკალი? — ეკითხებოდა ერთი და ბეჭებზე ხელებს უთათუნებდა.

— პირდაპირ ყანყრატოში მოუხვედრებია! — ჰკვირობდა მეორე.

— ქვევიდან რა პატარა ჩანს და რამხელა ყოფილა, კაცო?! — აღტაცებას ვერ ფარავდა მესამე.

გლეჯიანთ ნაბოლარა კი პასუხის ღირსადაც არავის თვლიდა, თიენებში გარეული ვაცივით ღინჯად ირჯებოდა, თითქოს ვერც ამჩნევდა აჟივფივებულ ბიჭბუჭობას. მარჯვენა მხარზე ცალღულიანი თოფი ეკიდა, ფერდზე მიბჯენილ მარცხენაში კი მონადირეული ფრინველის



გრძელი და წვრილი კანჭები ჩაებღუჯა, თავად ფრინველი ხურჯინივით ბეჭს იქით გადაეგდო, ფრთებიც ერთიმეორეზე გაეკრა, რომ სიარულის დროს ხელი არ შემლოდა.

ეგრე ამოიარეს ორღობე, გნიასით, ხორხოცით, ყიჟინით, ჭერჩამოქცეულ ეკლესიას გამოსცდნენ და თავქვე დაეშვნენ.

— რაღაცა ამბავია... — შემოფოთებით ჩაიბუტბუტა ნიკალამ, შედგა, მიაყურადა, შემდეგ შაბიამნის კასრი იქვე ზერებშუა მიაგდო და ვენახის თავში მყოფ შვილიშვილს გასძახა: — ბიჭო, შე ყურუმსალო, არ გე-

სძის თუ დაყრუვდი, რაღაცა ამბავია-მეთქი!

დაძახებისთანავე ნიკა შლიგინით გამოიქცა, მუხუგადმოახტა, მოსველებულზე ფეხი დაუცდა, მხოლოდ, მიწას ხელისგული დააბჯინა და ვენახის ბოლომდის თხილამურებზე შემდგარივით სრიალით დაემკა. ბებერ ჭანჭურთან წამოეწია პაპას, მხარი მისცა და ნაბიჯიც აუწყო. ეგრე მიადგნენ ორთავენი დაბალ ყორეს, ზედ გადაეყუდნენ და რია-რიით ჩამომავალთ დაელოდნენ.

ნიკალამ ხელის ნები შუბლზე კარტუზივით ჩამოიღო, მზე თვალებში სცემდა და ისედაც დაბეცებული ევლარაფერს არჩევდა, ჩრდილებადლა ლანდავდა მორიალე ბავშვებს.

- რა მოაქვთ? — გუმანით მიხვედრილმა იკითხა.
- ფრინველი მოუკლავთ, — უთხრა ნიკამ,
- გრძელფეხება.
- ვისა?
- გლეჯიანთ დოყლაპიას.
- ნიკალამ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.
- ეგ კარგს არაფერს მოკლავდა, — თქვა.
- ან ყანჩა იქნება, ან წერო. რა ფერია?
- თეთრი, — ამცნო ნიკამ.
- ფეხები?
- წითელი.

— უხ, მაგისი გამჩენ-გამზრდელი! — იწყინა ნიკალამ და ყორეს მუშტი დასცხო. — წერო მოუკლავს ოხრი-შვილებს. ნიკამ ვენახში აბრუნება დააპირა, მაგრამ პაპამ შეაჩერა.

— დაიცა, — უთხრა, — ახლოს მოვიდნენ.

როგორც იქნა, ჩამოილაღნენ, არ ჩქარობდნენ, ბერიკებივით ზარ-ზეიმითა და ბუქნა-ბუქნით მოდიოდნენ, თითქოს ქვეყნის დამქცევი, გათოკილი ყვენი მოჰყავდათ.

— უხეიროვ! — როდესაც გაუსწორდნენ, მერეღა გასძახა ნიკალა პაპამ.

— რა გინადირია?

გლეჯიანთ ნაბოლარამ პასუხი არ გასცა, ცოტა ხანს უცქირა, მერე ტანჯორასავით შემოუტრიალდა და ზურგზე გადაგდებული ფრინველი დანახვა. წეროს ისედაც გრძელი კისერი კიდევ მეტად გასწვრილებოდა, ყელი გარდიგარდმო ჰქონდა გაგლეჯილი, ნისკარტიდან წვეთ-წვეთად სდიოდა ბროწეულისფერი სისხლი და მონადირეს ჩექმის ყელზე ეცემოდა.

გაგრძელება მე-7 გვ.

-ახლოს მოდი! - ბრძანებით უთხრა ნიკალამ, თი- თქმის დინჯად და აუღელვებლად.

გლეჯია სმაგაკემნდილ წვრილფეხობას გამოეყო, უნიათოდ გამოემართა, ახლოს მისვლა ვერ გაბედა, შორიახლო გაჩერდა. არ უყვარდა ნიკალა პაპა, ზურგსუკან ყიამყარლსა და ღრძოს ეძახდა.

-დიდხანს უდარაჯე? - ჰკითხა მან.

-ორი დღეა კვლამი ვუდგევარ, - გაიფხორა ბიჭი, იფიქრა, ნამოქმედარს მიქებსო, - აგერ, იქ დავლანდე გუშინწინ, - სერზე მიუთითა. - ვდიე, ვდიე და ბერძენაანთ ტყისპირზე ჩამოვაფართხალე.

-განაპირა ხეზე იჯდა? - დაინტერესდა ნიკალა, თან ყველასაგან ფარულად მარჯვენა ხელი ყორეს ჩააყოლა და თითების ცეცებით ნაშალს დაუწყო ძებნა.

გლეჯიაანთ ნაბოლარამ თვალები დააჭყიტა.

-ჰო, განაპირაზე, - დაეთანხმა. - შენ საიდან იცი?

-ვიცი, - წყნარად მიუგო ნიკალა პაპამ. - ისიც ვიცი, დამჯდარს რომ ესროლე, ალბათ დაგინახა კიდეც, მაგრამ არ აფრინდა.

გლეჯიამ პირი დააფხინა.

-ეგ საიდანღა დაინახე, იქ იყავი?!

ნიკალამ ამხე პასუხი არ გასცა.

-ერთი ეს მითხარი, - დაეკითხა, - მამალი არსად დავილანდავს?

-რა მამალი? - გაიოცა გლეჯიამ.

-მაგისი მეწყვილე, მეორე წერო.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, მერე თავიც გაიქნია და „ნწუ“ დააყოლა.

-ისე ჩანს, ისიც შენნაირი გაოხრებულის კერძი გამხდარა, - ჩაიბურტყუნა ნიკალა პაპამ და ამასობაში ნაშალსაც მიაგნო, კარგა მოზრდილი ქვა გამოადრო და მუჭში მოიქცია.

-არ გამძიმებს? - მერელა ჰკითხა.

პატარა გლეჯიამ ზურგსუკან მდგომებს გაჰხედა, „რას მეუბნებაო“.

-ესა, ეს როგორ?.. - ჩაიქირქილა და ნანადირევი ბეჭით შეახტუნა.

ნიკალა პაპამ ცოტა ხანს ადროვა.

-ეხლა შეიძლება არ გამძიმებდეს, მაგრამ ჩემი დაიმახსოვრე, დრო მოვა და ბეჭს ჩამოგტყხავს.

-ჰიე... - გაეცინა იმას. - ამნაირს ხომ ათსაც ავიცილებ!

-ყოჩად, - თავის ქნევით შეაქო ნიკალამ და ბიჭს თვალი თვალში გაუყარა. - უნდა შეწვა თუ უნდა

გლეჯიაანთ უმცროსმა გუშანიო რაღაცა

იგრძნო, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო უკან დახევა. „ფიტული უნდა გაეკეთებინო მამაჩემსო“, - ბლუკუნით ამოდურდა და იმავე წამს ზურგი უჩვენა, მაგრამ ნიკალა პაპამ მაინც დაასწრო, უკვე გაქცეულს რბილზე მიაწია დაკბილული ქვა, ზედ კუდუსუნის ძვალთან.

-ფიტულები შენა და მამაშენი ხართ, უჯიგროები, უგულოები და სისხლგამოცლილები! - ქვას გაადვენა სიტყვა. - ეგრე გადაეცი იმ... ბოსტნის საფურთხობელას, ძაღლისაგან ბატკანი არ იბადება-თქო!

გამწარებული გლეჯია ბუზანკალშემჯდარი ჯორივით ტლინკების ყრით გარბოდა, გუნებაში ილანძვებოდა და შარვალში ხელჩაყოფილი ნატკენ ადგილს გამალებით ისრესდა.

ნიკალა პაპა გააგებულნი ბრდღვინავდა და ქშინავდა.

-ეგეთი ჯილაგის სინსილა უნდა გაწყდეს, - სოფლის მხარეს იქნევიდა მომუშტულ მარჯვენას. - მამამისმა შაშვი და კოდალა აღარ გააჭაჭანა, ბიძამისი ეკლესიის მტრედებს ხოცავდა ჩუმ-ჩუმად და ხახეში შუშავდა. დათვმა რომ პირუტყვი დაგვიგლიჯა, ახლადფეხადგმული ბაღლებიც გამოგვეყენე ტყეში, ეგენი კი სახლიდან ვერ გამოვიდნენ... ეხლა ამ ბეყვირათმა დაიწყო წვროებზე ნადირობა, მალე ბულბულის ფიტულიც მოუნდება და იმასაც ესერის, თუ სადმე მოიხელთა.

პაპა რომ როგორმე დაეოკებინა, ნიკამ სიტყვა ბანხე აუგდო.

-დამჯდარს თუ ესროლა, როგორ მიხვდი? - ჰკითხა. - ანდა რა იცი, რომ მამალი წეროც მოკლეს?

ნიკალამ ამოიქშინა, ხილაბანდივით ჭრელი ცხვირსახოცით შუბლზე და კისერზე მომსკდარი ხვითქი შეიშრო და მერელა გამოხედა.

-ბუღეზე იჯდა და იმიტომ არ აფრინდა, ბარტყებს გადაეფარა და დამალა... მამალი რომ ცოცხალი იყოს, მაშინ კიდეც არა უშავდათ, ეგენი ადამიანებივით წყვილად და თანხმობით ზრდიან მონაგარს, მაგრამ ისიც ვიდაცის წერა გამხდარა, თორემ ეს წიწილაპარია ლეკვი აუცილებლად შეამჩნევდა.

-ეხლა რაღა ეშველებათ? - თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკამ და მკლავებზე ბუსუსებმა დააყარა.

ნიკალა პაპამ ხელი ჩაიქნია.

-ალარაფერი, - ბოლმიანად თქვა. - მშიერ-მწყურვალნი დაიხოცებიან.

ნიკამ ტალახიანი ხელები



ჯიბებში ჩაიწყო და თავი ჩაქინდრა, დიდი საფიქრალის დროს ეგრე იცოდა გარინდება.

- ხომ თქვა, ზერძენაანთ ტყისპირზეო? - გაისხენა ცოტა ხნის შემდეგ.

- მართალი ხარ, ეგრე თქვა.

- განაპირა ხეზეო?!

- განაპირაზე და კენწეროწამტვრეულზე, - აუხსნა პაპამ, მერე ჩანაფიქრს მიუხვდა და წასახალისებლად თვალიც ჩაუკრა. - მაგნიარზე იციან. შორიდანვე შეამჩნევ, მაგებლა ბუდეს არც ერთი არ იკეთებს, ურმის თვალივით იქნება ხემოდან ჩამოდგმული.

ნიკამ სიყვარულით გაუღიმა და როცა უფროსმა თანხმობით თავი დაუკრა, ყორეს ისე გადაეწლო, ხელიც არ დაუშველებია.

- მაშ სისხლმონაღმული ოხრიშვილები ხართო? - ეკითხებოდა დიდი გლეჯია პატარა გლეჯიას.

- ოხრიშვილები და ღორისშვილებიო! - ცეცხლს უღვივებდა ის.

- ერთ დღესა ხართ გასაწვევებშიო?

- გასაუღლეთი და გასაუყუებო!

- ქვაც მოგარტყა?

პატარ გლეჯიამ უადგილო ადგილზე მიიღო ხელისგული და დაიკრუსუნა.

- მომარტყა კი არა, კინაღამ მომკლა, აი ამხელა ლოდინი დამცხო, - გოდრის ყელივით მოიმრგვალა მკლავები.

აქამდე უთქმელად მდგომი და დღონჯშემოყრილი დიასახლისი უეცრად გაწიწმატლა.

- აღამიანო, სანამდის დიდ-პატარიანად არ ამოგვხოცავენ, კრინტი არ უნდა დაძრა? - შეუტია ქმარს. - გადაუვარდი და ერთი შენებურად დააწიოკე. გლეჯო ტყუილად გქვია?!

ოჯახის უფროსმა თვალმოწკურვით აპხედა, „ერთი შენცაო“, - ჩაბურტყუნა და მძიმე სიტყვაც დააყოლა.

ფართო აივნის შუაგულში იჯდა, უზურგო სკამზე, მუხლებზე გამოშვიებული წერო ესვენა და ნახერხით ტენიდა, ხელები იდაყვებამდე სისხლით პქონდა მოსვრილი.

- შენა, ენის რატრატს ის გირჩენია, დილები მიპოვნო, - უთხრა.

- აი, ამფერი, თვალების სანაცვლოდ რომ ჩაუვლო, - თქვა და მომწვარულ ფრინველს ნახევრადმილული ქუთუთოები გადაუწია.

დიასახლისი ისე გაგულისდა, ფეხებიც კი დაუბაკუნა.

- ჯერ ეს მითხარი, ააწიოკებ თუ არა?

წელზევით ტიტველი და მურა დათვივით გაბანჯგვლული დიდი გლეჯია დამდურულივით წამოვარდა, წერო იატაკს დაანარცხა და გაფარჩხული, სისხლიანი ხელები ქალს თვალებთან მიუტანა.

- რა სამგლე გოჭვივით ატყედი, დედაკაცო! - გააგებულმა უყვირა.

- მე რომ იმ ყიამყარს მიუვარდე და უთხრა, საღამოთი მაგის შერეკილებს რა ვასუხნ ვაცე, არ იცი იმათი თავქარიანობის ამბავი?... ჯერ დედაბუდიანად გადაგვხნავენ, მერე გადაგებარავენ და იქნებ გავუნოფიერებთ კიდევ!

- მაშ, არაფერს უპირებ! - დამცინავი, ცალცხლილით დაეკნთა ცოლი. - ბიჭის დაჩაგვრა უნდა შეარჩინო?

- მე ვიცი მაგათი... დაქადნებით ჩაბურტყუნა დიდმა გლეჯიამ, წერო კვლავ მუხლებზე გადაისვენა და ხელმეორედ დაუწყო ნახერხით ამოკვება.

- მაინც?... მაინც? - დაინტერესდა ქალი. ნაშიერიც მოუთმენლად შეაცქერდა მამას.

- აი აქა, ამ ადგილზე, - კედელს თითი მიაბჯინა დიდმა გლეჯიამ, - სწორედ მაგათი ფანჯრების პირდაპირ, ამ წეროს, ფრთებგაშლილს რომ მივაჭვებ, ეგ იქნება ჩემგან ოხტში ამოსვლა, მაგით გავასიებ გულზე, მერე მოდგნენ და ისროლონ ქვები.

ამ გადაწვევებით ოჯახის უფროსმა ცოლიც დააწენარა, თავადაც დამშვიდა და პატარა გლეჯია ხომ გაახარა და გააღაღა.

ახლად დაბინდებულზე ნიკამ უბეში სათუთად ჩასმული ორი პატარა, ინდაურის ჭუკებივით მახინჯი ფრთოსანი მოიყვანა.

- მესამე საღაა? - ჰკითხა ყოვლისმცოდნე ნიკალა პაპამ.

ბიჭმა ტუჩი მოიკვინტა.

- ველარ მივუსწარი, - უთხრა, - ბუდიდან გადმოვარდნილი დამხვდა, სული აღარ ედგა.

პაპამ ქეჩოზე გადაუსვა ხელისგული.

- რა ვქნათ, შვილოსა, - დაამშვიდა. - შენ ხომ ბრალი არაფერში მიგიძღვის, ამათ მაინც მიხვდეთ. კალათაში ჩასხი, ჯვალოც გადააფარე და წვეთ-წვეთობით დააღეინე წყალი.

- საჭმელი რა მიეცე?

- დღეს როგორმე გაატანენ, ჩვენი საკვებით არა ვავნოთ რა, ხვალედან ჭია-ლუა და მწერი არ მოაკლო, არც ბაყაყის ხაშლამაზე გეტყვიან უარს.

ნიკამ გაიცინა.

- იოლი საქმეა, - უთხრა. - მაგრამ როცა დაიზრდებიან?

- ჯერ გამოვზარდოთ და შემდგომზე მერე ვილაპარაკოთ.

დიდმა გლეჯიამ დანაქადნები იმ დამესვე შესრულა. დედა წერო აივნის კედელს მუხობლებისათვის თვალსაჩინო ადგილზე მიაჭვდა. პირველი ლურსმანი კისერში ჩასცხო, მერე ფრთები გაუშალა და სათითაოდ დაუმაგრა, ბოლოს კანჭებიც დაუჭიმა, უფრო დიდი რომ გამოჩენილიყო, ტერფის აპკებში გულდაგულ ჩაუკაკუნა.

გაგრძელება მე-9 გვ.

დღეა წერო თითქოს გაცოცხლდა, მთელი თავისი სიმშვენიერით გამოჩნდა, შორიდან რომ კაცს შეეხედა, ასე იფიქრებდა, ეს-ესაა ახლა აფრენილა, სადაცაა ჭერს აარღვევს და ლაჟვარდს შეერწყმისო.

უფროსი გლეჯია აღტაცებით შესცქეროდა თავის ნახელავს, „ოქროს მარჯვენა მაქვსო“, ფიქრობდა და აივანზე მამლების ჩემპიონებით გულგამოფუყული დააბიჯებდა, მაგრამ ერთით ვერ გაიხარა ვერც იმან და ვერც მისმა ოჯახმა: არც ნიკალა პაპას და არც იმის ჯალაბობას ერთხელაც არ გამოქცევია მხერა კედელზე მიკრული წეროს მხარეს.

ორი კვირის თავზე, დილაუთენია, ნიკამ სახლიდან ბალახბულახით მოფენილი ხახალი გამოიტანა და ის იყო, ბაღის ბოლოში დააპირა წასვლა, რომ ნიკალა პაპამ შეაჩერა.

–საკვამურზე დაუდგი, შვილო, – ურჩია, – ბუხრის თავზე, უფრო მყარადც იქნებან და შენც მიხელვა გეგაიღვილდება.

–მერე ისინი? – მქნობლების მხარეს მიანიშნა ბიჭმა.

–ახლა მაგათ უცქირონ... – მრავლისმთქმელად უთხრა პაპამ. – ენახოთ, ვისი აჯობებს.

ნიკამ სახლს კიბე მიაყუდა, მოუხერხებლად აბობღდა ზედ, ხახალი საკვამურზე ჩამოდგა. ქარს რომ არ გადმოეგლო, თოვით საგულდაგულოდ მიამაგრა, შემდეგ საითითაოდ გამოიფანა ახლადმეღინდლული წეროები და ბუდეში ჩასხა.

მოგვიანებით, საკვები და წყალი რომ აუტანა, ახლად გაღვიძებულმა პატარა გლეჯიამ აივნიდან ბატონიშვილივით გადასახა:

–ბიჭო, წესით და რიგით ეგ ბარტყები მე მეკუთენის!

–უითომ რათაო? – მოუხედავად დაეკითხა ნიკა. – შენ გამოიქვე?

–იმათა, რომ ბუდეცა პირველად მე მივაგენი და დღე-მაგათიც მე მოვკალი, – დაიქანდა მან.

–თქვენს სახლს რომ ვინმემ მოაგნოს და დედ-მამაც დაგხოცოს, შენც იმის საკუთრება განდები?

ასე მწარე ნათქვამზე გლეჯიამ ვედარაფერი უპასუხა, კეფა მოიქექა და, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული შებრუნდა სახლში.

იმ დღიდან გლეჯიანთ ოჯახმა მოსვენება დაკარგა, ის ორი პატარა მახინჯი იმით თვალწინ იბუმბლებოდა, იზრდებოდა და დღითი დღე ლამაზდებოდა. ესენიც, უნდოდით თუ არ უნდოდით, წარამარა იყურებოდნენ ფანჯრებიდან, ან კიდე უშიშვნოდ გარბოდნენ აივანზე, რაღაც არ ასვენებდათ, აფორიაქებდათ და სტანჯავდათ. ვერც კი ხვდებოდნენ – რა, თუმცა იქნებ იცოდნენ და ვუძმანსაც უღებდნენ, მაგრამ თანდაყოლილი სიღრჯუის გამო ვერც თავს უტყდებოდნენ და ვედარც ერთმანეთს ეუბნებოდნენ, მაგრამ ამ ქვეყნად დამალული და გაუხელებელი რა დარჩენილა.

ზაფხულის მიწურულს, კვირა დღის სისხამზე, გლეჯიანთ ოჯახი ქალაქში წასასვლელად თადარიგს იჭერდა, ჭი-



რნახული მიჰქონდათ ბზარში გასაყიდად. წინა დღით ცხენკულის ფილი ნარჩევი მსხალი და ვაშლი, ხის ყუთებში სიგელდებულად დახარისხებული და ჩალაგებული, აივანზე ჰქონდათ გადმული და ახლა, როდესაც ოჯახის თავმა მქნობლების ჯიბრზე კარგა ხანს აბღუელა ახალთახალი იორდა „მოსუვინი“, საბოლოოდ საბარგული ახადა და შეიღოს ბრძანებით ამოსახა – უქნარებო, ყუთები ჩამომატანინეთ და ჩამალაგებინეთ, თორემ დაგვიღამდებაო, – სამთავნი მტლავებდაკაიწებულები გამოიფენენ აივანზე, მიაღწენ ყუთებს, საითითაოდ დაიიღლიავენ და ის იყო, კიბეს უნდა ჩაჰყოლოდნენ, რომ რაღაც უცნაურმა ქროლვის ხმამ და ტყელაშენმა ადგილზე მიაბორკა და გააქევა ვეღა.

თავისდაუნებურად შემობრუნდნენ და დაინახეს, რომ მქნობლის საკვამურზე, ხახალბუდის კედელზე, თითქმის ზრდასრულებული წეროები შემდგარიყვნენ, კისრები წავერძელდებინათ და გამაღებთ, აცა-ბაცა იქნევდნენ ფრთებს. ამითი შემოტრიალება იყო და ორთავნი, ერთი მქორის მიყოლებით გაუხედავად, მიშეუღად გადმოეშენენ, ჯერ დაბორცი-

ლებით აიჭიეს მხრები, დაბლა-დაბლა წამოვიდნენ, მერე გაუთამამდნენ, ძალა ჩაიდგეს, ნელ-ნელა გასწორდნენ, გაიმართინენ და რატომღაც გენი მანცვამანც გლეჯიანთ აივნი-სკენ აიღეს. ეგრე ფარფატ-ფარფატით გადმოეკლნენ მოაჯირს, იქა-ურობა ააბუქეს და ორთავნი დაბრმავებულებით დღეა წეროს ფიტულს შეეგახნენ, შეასკნენ, ცოტა ხანს შუქს მიმწყდარი პეკლებით იფარვანეს და ბოლოს ფილაქნით დაფარულ აივნის იატაკს აფართხლებულები დაენარცხნენ.

შესცქეროდნენ ზარდაცემული გლეჯიანი ამ უჩვეულო ამბავს და ვერც ერთს ვერ მოესაზრებინა ყუთის ჩამოღება, ხელის გათავისუფლება და მიხმარება, ვიდრე წეროები მუხლების ცახცახით თავადვე არ წამოდნენ, გაიმართინენ და თავადერებულებმა კვლავ დღეა წეროს ფიტულზე არ დაიწყეს მორიგებით შეხტობა და შეფოფინება. მამინ კი ჯერ დიდ გლეჯიას უმტყუნა მოთმინებამ, რაღაც ამოიხაგლა, ხის ყუთი გამწარებულმა მოისროლა, დასწვდა პირველსავე ფრინველს, იღლაიმ ამოიჩარა და კისრისმტვრევით დაეშვა კიბეებზე. პატარა გლეჯიამაც მამას მიბაძა. იმანაც აიტატა მქორე და წინ წასულს გაედგნა.

როდესაც მამა-შვილი მქნობლის სახლის სახურავზე აფრინენ და ფრინველები ბუდეში ჩასხეს, დღეა წეროს ფიტული უკვე ჩამოსხნილი იყო კედლიდან.

შემოდგომის მიწურულს ორთავე წერო გამოსახამთრებლად იმ მხარეს გაფრინდა, სადაც კვირტთა ტირილი იყო დაწყებული. ცის უსახლვრო სამანს მიჩერებული, თვალეზში ცრემლჩამდგარი ნიკა ნიკალა პაპამ ეგრე დაამშვიდა – ადრე თუ გვიან, ვეღა სულდგმული საკუთარ ბუდეს უბრუნდებოა.

მაგრამ ვინ იცის, ანდა ვინ იტყვის დაბეჯითებით, ისურვებენ წეროები ოდესმე იმ ადგილისკენ გამოხედვას, სადაც მათ ბაღლობსას დღეა მოუკლეს?

მხატვარი ლიმიტრი ზარაფიშვილი

საკუთარ თავთან მისასვლელი გზების ძიებაში

საქართველო
საქართველო

„კი არ ელოდო, არამედ ისწრაფოდე განვითარებისკენ“ – ეს იდეა დაედო საფუძვლად კავშირ „ახალი ხელოვნების“ (NEW ART) შექმნას. ამ არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებლებმა მიზნად დაისახეს გემოვნებითა და აზროვნებით, საკუთარი ხელწერით გამორჩეული შემოქმედი ადამიანებისათვის თავისუფალი, კეთილგანწყობილი გარემოს, სივრცის შექმნა.

ორგანიზაციაში ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მანანა ბეგიაშვილის მონარდთა ლიტერატურულ-შემოქმედებითი სტუდია. ქალბატონი მანანა სრულიად გამორჩეული, განსაკუთრებული მეთოდით მუშაობს, თხზულებებში, რომლებსაც მისი სახელოსნოს წევრები მეცადინეობებზე ქმნიან, წარმოდგენილია მათი თვალთ დახახული და გააზრებული სამყარო, საგნები, მოვლენები.

დღეს ქალბატონი მანანა ბეგიაშვილი ჩვენი ჟურნალის სტუმარია და თავის ლიტერატურულ-შემოქმედებით სახელოსნოზე გვესაუბრება.

– როდის ჩამოყალიბდა ცენტრი NEW ART და კერძოდ თქვენი სახელოსნო?

– უკვე მესამე წელია ამ ბაზაზე ვმუშაობთ. ცენტრი NEW ART-ი (ახალი ხელოვნება) თანამედროვე სიახლეების პროპაგანდა-აგიტაციას ეწევა. თავიდანვე გათვლილი იყო, რომ აქ უნდა ყოფილიყო სახელოსნოები, რომლებიც ახალგაზრდების განათლებას, განვითარებას, გემოვნების დახვეწას, ჩამოყალიბებას მოემსახურებოდა.

– რა პრინციპით ხელმძღვანელობთ ბავშვების ლიტერატურულ-შემოქმედებით სახელოსნოში მიღებისას?

– ლიტერატურა არის თვითგამოხატვის ერთ-ერთი გზა. ჩვენი მიზანია მივიღოთ ბავშვები, განურჩევლად ასაკისა, დაწყებული რუბინის ასაკიდან (9 წლიდან), გარდატეხის ასაკის ჩათვლით. არ არის აუცილებელი, რომ ბავშვი მაინცდამაინც შემოქმედებითი უნარ-ჩვევებით იყოს დაჯილდოებული. ის აქ, სახელოსნოში, თანდათან, ეტაპობრივად ყალიბდება. აქ მას საშუალება ეძლევა, საკუთარი შინაგანი სამყაროს, შინაგანი არსის ვიზუალური დემონსტრირება მოახდინოს. ჩვენი ძირითადი პრინციპი არის ის, რომ ყველანი ვართ თანასწორნი და ერთმანეთისაგან ვსწავლობთ.



– როგორ მიმდინარეობს თქვენთან მეცადინეობა?

– მეცადინეობის პრინციპი არის მარტივიდან რთულისკენ გადასული და მე ყოველთვის ვცდილობ, რომ შინაგანი პრინციპი და შინაგანი ღერძი არ დაივარდოს. თემატურად ყველაფერი არის ძალიან გათვლილი, თუმცა სშირად იბადება იმპულსური თემები. საშინაო დავალებები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ მათი შესრულება ცოტა რთულია, რადგან როცა მართლები არიან ბავშვები, შინაგანად უფრო იბაბებიან, უჭირთ საზოგადოებაში შესვლა, შინაგანი სამყაროს გამოტანა, გამოაშკარავება. მინდა ვითხრათ, რომ როცა თვითშეფასება არის დაბალი, რეალურად იქ ორგანული უკვე გაფუჭებულია. მე ფილოლოგი ვარ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოქმედებით მხარეს უგულვებლყოფ.

– ლიტერატურული სახელოსნოს გარდა სხვა სახელოსნოები თუ გაქვთ ცენტრში?

– აქ არის ხატვის, ხელოვნების სტუდია, სადაც ძალიან საინტერესო მეთოდით მუშაობენ. არის ფოტოხელოვნების სტუდია, ამ კავშირის ბაზაზე გაკეთდა ელექტრონული წიგნი გლაკტიონის შესახებ. მართალია, კომპაქტდისკზე, მაგრამ არაჩვეულებრივი ნამუშევარია, ჩაწერილია გლაკტიონის მთელი ბი-

ოგრაფია, მისი შემოქმედება, აუდიოკასეტა, ხმაც კი... ეს იყო კახა დავითურის პროექტი. მეორე ელექტრონული წიგნი იყო ხალხურ პოეზიაზე, რომლის პრეზენტაცია რამდენიმე თვის წინ ჩატარდა. შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონულ გამოცემლობას აქ ჩაეყარა საფუძველი.

– ახლანაშ შედგა თქვენი სტუდიის აღმანახის – „სადღაც ახლოს“ პრეზენტაცია. რას წარმოადგენს ეს აღმანახი? სხვა მსგავსი აღმანახები თუ გაქვთ?

– „სადღაც ახლოს“ იყო ჩვენი ბავშვების ნამუშევრების პირველი შემავსებელი პროექტი. მათ აქვთ ნაწერები, მაგრამ გვიწოდდა, რომ ყველაფერი ერთად აურეფილი სამახსოვროდ დარჩენოდათ. გარდა ამისა, უამრავი სხვა პროექტი გვაქვს განხორციელებული. წელიწადში ორ-სამჯერ ვაწყობთ ლიტერატურულ საღამოებს. ერთ-ერთი პროექტი იყო „ჩვენი ქალაქი“. ჩავატარეთ სალონი – აქციაც, სადაც გამოფენილი იყო ნახატები. პარალელურად ბავშვები იქვე ქმნიდნენ ნამუშევრებს. აქციის ფორმა ჰქონდა პროექტს „წერილი თოვლის ბაბუას“. ეს მასალა საინტერესო იყო, მიუხედავად იმისა, რომ სათაური კონკრეტულად ჰქონდათ მითითებული, ბავშვები წერდნენ ზამთარზე, თოვლზე, წვიმაზე, შემოდგომაზე... ახლა კი თავად ქალბატონ მანანას მოსწავლეებსაც მოუვსძინო:

ლიკა ბარაბაძე, 18 წლის: „სახელოსნოში საშუალება გეძლევა, რომ რასაც შინაგანად გრძნობ, გარეთ გამოიტანო და რადგან ყველაფერი გამოგაქვს, სხვებისგან განსხვავებული ხდები“.

თამუნა კალანდიაძე, 13 წლის: „მანანა მასწავლებელი გვასწავლის ისე წერას, როგორც უნდა წეროს ნორმალურმა მწერალმა და არა ისე, როგორც წერენ ჟურნალებში, „სერიალუბის“ სახით“.

პაპა შიქაძე, 18 წლის: „სახელოსნო მართლა კარგი სკოლაა იმისათვის, რომ აზროვნება ჩამოვიყალიბდეს, შეიძლება მწერალი არ ვახდე, მაგრამ იმდენად კარგი მწერლური გემოვნება გქონდეს, რომ ცხოვრებაში გამოვადგეს“.

ნუცა ნაწორაძე, 15 წლის: „სკოლაში თავისუფალი თემის წერის მეშინოდა, აქ კი წამოვიდა რაღაც ნაკადი, რისი გადმოცემაც მინდა... ამაში ხელი მანანა მასწავლებლის თავისებურმა მეთოდმა შემიწყო“.

ლილი ხალაძე: 15 წლის: „როგორც კი ოთახში შემოვალთ, ყველა პრობლემა კარს მიღმა რჩება“...


ესაუბრა პაპა ჯალალონი



ოფომსერი როგორ ავიცილოთ თავიდან დაავადება „ლუარსაბი“

დაავადება „ლუარსაბი“ გამოწვეულია უცოდინარობით. ამ დაავადებას არ სჭირდება არაერთარი პრეპარატი, მას მხოლოდ ქმედება სჭირდება. ერთადერთი ქმედებაა – სწავლა. სწავლით ინკურნება ყველა, ვისაც დაავადება „ლუარსაბი“ აქვს შეყრილი. ამ დაავადებამ უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ის გავრცელებულია ყველგან, გარდა ჩვენი, VII კლასისა. ჩვენ უკვე გადავიტანეთ ეს დაავადება და მხოლოდ სწავლამ მოგვარჩინა. ჩვენ ვშიშობთ, რომ კვლავ არ შეგვეყაროს დაავადება და კვლავ ამ პრეპარატით ვსარგებლობთ. დაავადების „ლუარსაბი“ განმკურნავი ქმედებაა – სწავლა. მკურნალი ექიმი – ანა მკლავიშვილი.

ანა მკლავიშვილი, სკოლა „სარემელი“, VII კლასი



ვიორგი შაკაია, სკოლა „სარემელი“, I კლასი

გიოხგი ჩიქოვანი თბილისის 126-ე საშუალო სკოლის IV3 ხლასის მოსწავლეა. გონიხ, ჟეილ და ცნობისმოყვახე ყმანვილს ბევიხი ხამ აინტეხეხებს და იტაცებს, სასკოლო საგნეზიდან ჟი ყველაზე მეტად ჟახილეი ენა და დიტეხატეხა უყვახს, ხაც ჰიხვედ ხიგში ამ საგნის მასწავლებლის, ჟაღბატონ მახინა ჟავახიშვილის და მსახეხებაა.



ღამე ჩემს ქალაქში

ღალამღა. ჟალაქში სიჩუმეა. ჟეხები მრავალფეროვანი ნათურებითაა განათებული. მთვარეს ნისლი ეხვევა. ვარსკვლავები ჟი ციმციმებენ და ციმციმებენ, ზოგჯერ თითქოს ბუტუტავენ კიდეც. სახლებში შუქი თითქმის აღარავის უნთია. ყველას სძინავს. ღამის უღამაშესი მწერი, რომელსაც ციცინათელას უწოდებენ, ციმციმით ანათებს ბნელს. თეთრი, ჟათქათა თოვლი ნაირფეროვანი ნათურების ჟევეშ ზოგჯერ ყვითლად, ზოგჯერ წითლად ციალებს.

ჩემი ჟალაქიდან შორს აქაფებული არავი ჩხრიალ-ჩხრიალით მიიყვლევს გზას, რათა მტკვარს შეურთდეს, მერე ჟი მასთან ერთად უღამაშეს შავ ზღვას ანუ პონტოს ზღვას. აქ ჟი, ჟალაქში, ღამე თანდათან ძალაში შედის. ღამაშია ეს ღამე ჩემს ჟალაქში.

ღრუბლები


მე ჰატარა ღრუბელი ვარ. არწივის ფორმა მაქვს და როცა მზე ამოდის, მე მას ჩემი ფრთებით გადავეფარები ხოლმე. ზოგჯერ რაიმე მეტეინება და ვტირი. ამას ჟევეით, დელამიწაზე, წვიმას ეძახიან. დიდ ყინვაში ჩემი ცრემლები იყინება და თოვლის ფიფქებად გადაიქცევა. მე ზემოდან ყველაფერს ვხედავ. ისიც ვიცი, რომ ჩემი გაყინული ცრემლები ანუ ფიფქები ბავშვებს ძალიან უყვართ. თოვლისაგან ბავშვები თოვლის ბაბუებს აკეთებენ, რომლებიც მე ძალიან მომწონს. აღბათ, კითხვა გაგინდებათ. საიდან, როგორ ვხედავ ამ სიღამაშეს, არა? მე ზომ ძალიან მაღლა ვარ. თითქოს ხელისგულზეო, ისე მოჩანს აქედან ყველაფერი. ბევრს ჰკონია, აღბათ, რომ თვალეები არა მაქვს. ისინი ძალიან ცდებიან.

ჩემი თვალეები ისეთივე თეთრია, როგორიც მე თვითონ ვარ და ამიტომაც ჩემს თვალებს ვერავინ ხედავს. მე ჟი ვხედავ ყველაფერს და ძალიან მიყვარს ჩემ ჟევეით გადაშლილი ღამაში დელამიწა.



ოფომსერი

ჩაინდი ესე არს ცხინთა გამწვანთი, გვიხსნის საბა, ვანმარგებთი რეუსკანი კი დასძინს, ჩამ ჩაინდი თეღარი-ზმის ეწყაში სამხედრ-თავადაზნაურეი ნღრების ჰინს, მძიმე აღქრვირ მხედანს ენღრებდა. მერე და მერე ამ სანყის თუ ძინითა მნიშვნერბასთან ერთად სიჭყვას უნდ ფანთ, ვაღვანითი მნიშვნერბაც შეუძინია, მათგან უმთავრესი კი ასე ჩამყვარბდა ჩაინდი, უარჩესად ჰაგისანი, კეთილბიერი, უშიშარი, მკვარების ერთევი აღამიანი. აი, ასეთი ლინსებთი შემეურ აღამიანებზე, ჩეღონად ანსებურ, ისტ-ჩიურ ჰინებზე თუ ლიჭენაჭურე გმინებზე გვინდა გესაუბროს ჩვენს ახარ ჩუბრავაში ჩაინდების კლები, ხღრ სუბანს ლიმიჭჩი ამიღახვანიო დავინყებთ.



ყოველმხრივ უმაკრული

„დაიჩოქეთ მამაკაცებო! გაისმა სხარტი ბრძანება. აქამდე უჩინარმა პროექტორმა იქაურობა გაანათა და საბრძოლო მანევრების ველი დეკორაციას დაემსგავსა. გამოჩნდა კაზუარებსა (საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლების საპარადო თავსაბურავი) და თეთრ ხელთათმანებში – საპარადო ფორმაში გამოწყობილი 600 მუხლმოყრილი ახალგაზრდა სენ-სირელი (უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი საფრანგეთში).

კვლავ გაისმა ხმა:
–პოლკოვნიკი თავადი ამილახვარი...

მერე დაიჩოქილ ახალგაზრდებს სამხედრო სასწავლებლისთვის ტრადიციული ბრძანება მოესმათ:

–ადექით... ოფიცრებო!
თითქოს ერთი კაციაო, ცისფერ-წითელი ხვალინდელი არმია ფეხზე აიჭრა და სმენაზე დადგა. პროექტორების თვალი-სმოპჭრელმა სინათლემ ბნელ დამეში უშველებელი თეთრი ზოლი მოხაზა, რომელზეც ამილახვართა საგვარეულო გერბი გამოისახა...“

ეს ცერემონიალი 1955 წელს გაიმართა, საფრანგეთის უმაღლესმა მთავარსარდალმა სენ-სირის იმ წლის გამოშვებისათვის ამილახვარის გვარი აირჩია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ეს გვარი 600 ახალნაკურთხი ფრანგი ოფიცრის მფარველი ანგელოზი და გზის და-

მლოცველი იქნებოდა. ახალგაზრდა ოფიცრებს სიტყვით მმართა გენერალმა კატრუმ, რომელმაც ასე დაუხასიათა მათ თავისი თანამებრძოლი ღიმიტრი



ამილახვარი: „... იგი გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ღმერთმა იგი დიდი გულითა და ნათელი გონებით დააჯილდოვა; მისი მამაკაცური სილამაზე საოცრად ერწყმოდა სულიერ ზნეობას... მისთვის ბუნებით მომადლებულ სიკეთეთა შორის ყველაზე ძლიერი ერთგულება იყო; იგი ბოლომდე ერთგული დარჩათავის სამშობლო საქართველოსი; იგი ერთგული იყო სა-

ფრანგეთისა... სამხედრო სასწავლებლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, ვაჟკაცობითა და კეთილშობილებით გასხივონებული აღამიანის ცხოვრება ღირს იმად, რომ დღევანდელმა გამოშვებამ იგი კარგად გაიცნოს, კარგადაც გაიაზროს...“

ღიმიტრი ამილახვარი 16 წლის ყოფილა, როცა მისი ოჯახი საფრანგეთში წასულა. 1924 წელს იგი სენ-სირის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხულა. ყოველმხრივ შემკული პიროვნება ყოფილა. მაღალი (1 მ. 85 სმ), ტანადი, წელწერილი, ლამაზი პირისახის, ცისფერთვალეა, ოქროსფერთმიანი, გონიერი და გამჭრიახი ვაჟკაცი რაინდული სულითაც ყოფილა დაჯილდოებული და რა გასაკვირია, რომ მთელ სასწავლებელს ჰყვარებოდა. სენ-სირის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, 1926 წელს უმცროსი ლეიტენანტი ამილახვარი ალჟირში, სიდი-ელ აბესში გაამწესეს. მოგვიანებით იგი სამხრეთ მაროკოს ოპერაციებში მონაწილეობდა. სწორედ ამ ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და საზრიანობისთვის 20 წლისას კაპიტნის წოდება მიენიჭა. ეს გაუგონარი ამბავი ყოფილა, რადგანაც ასე ახალგაზრდას და თანაც უცხოელს კაპიტნის წოდება მანამდე არავის მიეღო. იმხანად ქართველი ღიმიტრი ამილახვარი ყველაზე

გაგრძელება მე-13 გვ.

საქართველოს სახელმწიფო უწყებების განცხადება

ახალგაზრდა კაპიტანი იყო მთელ საფრანგეთის არმიასი. ყველა ბრწყინვალე მოძაველსა და კარიერას უწინასწარმეტყველებდა დიდად ნიჭიერ და ზნეძალად ოფიცერს, მაგრამ ამისათვის მას აუცილებლად უნდა მიეღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა და უცხოურ ლეგიონში კი არა, ეროვნულში უნდა ემსახურა. დიმიტრი ამილახვარი მშვიდად ისმენდა ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა რჩევას და წინადადებას და ასევე მშვიდად პასუხობდა, რომ ბოლომდე ერთგული დარჩებოდა თავისი ნამდვილი სამშობლოსი, სადაც უსათუოდ დაბრუნდებოდა მის მოქალაქედ, თუმცა არც საფრანგეთს უღალატებდა როდისმე.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, უცხოური ლეგიონი ნორვეგიაში იყო. აქ ამილახვარმა ურთულეს ვითარებაში წარმატებით დაავიკრიგინა ოპერაცია, რომელსაც მე-13 ბრიგადის უკანდახვეა უნდა უზრუნველყო. მოგვიანებით ამ ბრძოლის მეთაური გენერალი მონკლარი იხსენებდა: „ამილახვარმა ისე ბრწყინვალედ წარმართა ჩვენი ზურგის დაცვა, რომ ტოტალურ განადგურებას გადაგვარჩინა“.

ნარვიკთან გამართულ უმძიმეს ბრძოლაში კაპიტანმა ამილახვარმა კიდევ ერთხელ გააოცა თავისი ლეგიონერები. ტყვიამფრქვევების განუწყვეტელ კანში მთელი ლეგიონი ხოხვით მიიწვედა წინ. „ამილახვარი კი ფეხზე იდგა თავისი მოსასხამით და ღურბინდით ისე აუღელვებლად აცქერდებოდა მტრის ბანაკს, თითქოს ჩვეულებრივ მანევრებზეაო“. ლეგიონერებს კარგად ახსოვდათ, როგორ გაუხვრიტა კაპიტანს ბელ-აბესში ტყვიამ კაპიუშონის შვიდი ნაკეცი, მოსასხამი და კისერი ოდნავ გაუკაწრა. მაშინ იყო, რომ ამილახვარმაც და მისმა ლეგიონერებმაც დაიჯერეს, რომ ამ მოსასხამს მისი მფარველი ავგაროზის ძალა ჰქონდა. იმ დღი-

დან ამილახვარი მოსასხამს არ იცილებდა.

1940 წ. ამილახვარი მისი ლეგიონითურთ ინგლისში გადავიდა. იგი მტკიცედ ამოუდგა მხარში ორად გაყოფილი საფრანგეთის გათავისუფლებისათვის მებრძოლ დე გოლს და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მას. ოკუპაციის წლებში დიმიტრი ამილახვარმა დატოვა მეუღლე (ირინე დადიანი), ორი პატარა შვილი და თავის ლეგიონთან ერთად იბრძოდა სირიაში, ლიბიაში, სამხრეთ ამერიკაში, მასუასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისთვის დიმიტრი ამილახვარს, კვლავ გამონაკლისის სახით, პოდოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს.

ამას მოჰყვა ბირ-აკეიმის ბრძოლა, რომელშიც უცხოური ლეგიონის საბრძოლო დროშა კიდევ ერთხელ შეიმოსა დიდებით. ამილახვარი ჩვეული სიმატით იბრძოდა: „მან გადააჭარბა ადამიანური შესაძლებლობების ყოველგვარ ზღვარს. დღე-ღამე ჩვენ შორის იყო, წამითაც არ შეუსვენია. იძლეოდა ბრძანებებს, ამზადებდა კონტრშეტევას და თანაც მუდამ ბრძოლის ველის შუაგულში იმყოფებოდა“, - იგონებდა შემდგომში ამ სასტიკი ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე.

ბირ-აკეიმის შემდეგ ამილახვარი თავისი ლეგიონითურთ ელ-ალამეინში იბრძვის. მთლიან ოპერაციას ინგლისელი გენერალი მონგომერი ხელმძღვანელობდა. მან ყურად არ იღო ამილახვარისა და კენიგის მოსაზრებები და ბრძანების დამორჩილება მოითხოვა. მონგომერის გაუაზრებელმა გეგმამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა ჯარისკაცებსაც და ტანკებსაც. ამილახვარმა უდიდესი რისკის ფასად გაიყვანა თავისი ლეგიონი დანადგულ მონაკვეთზე და სწორედ მაშინ ყველამ შეშფოთებით შენიშნა, რომ მეთაურს აღარც თავის მოსასხამი ჰქონდა და აღარც კაპიუშონი.

ცუდად ენიშნათ. თვითონ ამილახვარმა კი არაფერი შეიმჩნია. მისმა ლეგიონმა დასახულ მიზანს მიაღწია, ბორცვი აიღო, მაგრამ გერმანელების ტანკებმა ცეცხლის რკალში მოაქციეს არტილერიის უქონელი ფრანგები და აიძულეს უკან დაეხიათ. პოდოლკოვნიკი დინჯად ახვეინებდა ლეგიონს. ინგლისელებმა ჯავშნიანი მანქანა გაუგზავნეს და ბრძოლიდან გამოსვლა ურჩიეს.

-მე ჩემს ლეგიონერებთან დავრჩები, - ასეთი იყო პოდოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვარის უკანასკნელი სიტყვები. 10 საათზე ყუმბარის აფეთქების შედეგად იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. „ასე, ბრძოლის ველზე დაიღუპა ადამიანი, რომელმაც დათრგუნა ყველა ადამიანური სისუსტე,ღირსეულად განვლო ხანმოკლე სიცოცხლე და არავის წინაშე არ დაუხოქია. მან დაუხოქა მხოლოდ ღმერთს, ლეგიონის დროშას, ახლა კი სასიკვდილოდ დაჭრილმა, მესამეჯერ ჩაიხოქა ისე, რომ ვეღარ წამოდგა“.

ასე დაიღუპა 1942 წლის 23 ოქტომბერს ეგვიპტის დასავლეთ უდაბნოში, ურ ლაბანის მახლობლად 36 წლის ქართველი თავადი, ფრანგი ოფიცერი დიმიტრი ამილახვარი, რომელმაც „ლეგიონი გააოცა და რომელიც ყოველგვარ ვითარებაში ღირსეული იყო თავისი გვარისა“ (გენერალი მონკლარი).

ორი წლის შემდეგ კი, 1944 წლის დეკემბერში, შობა დღეს უცხოური ლეგიონის ხელმძღვანელებმა დიმიტრი ამილახვარის ქვრივი, ქალბატონი ირინე დადიანი მისი მეუღლის ხსოვნის საღამოზე მიიწვიეს. ქალბატონი ირინე და მისი შვილები სამხედრო მანქანით გაემართნენ საღამოზე. გზაზე ავტოკატასტროფა მოხდა და დაიღუპა ყველა, ბავშვების გარდა. დიმიტრი ამილახვარის ქალ-ვაჟი დღესაც ცოცხალია. თავად იგი კი ელ-ალამეინის ფრანგულ სამხედრო სასაფლაოზე განისვენებს.

სალომე სირაძე



12 წლის, სალომე ვერისუბნის ლიცეუმის VI კლასის მოსწავლეა.

მათემატიკის მასწავლებელი ამბობს, როცა სალომე სკოლაში არ არის, კლასსაც და გაკვეთილსაც მაშინვე ეტყობა, ნაკლებად საინტერესო და ხალისიანი. და ეს მაშინ, როდესაც სალომეს არც თავის გამოჩენა უყვარს და არც მაინცდამაინც მხიარული და გულგახსნილია. უბრალოდ, მათემატიკაში ყველაზე ძლიერია. მეორე კლასში იყო, როცა ჯერ ვერისუბნის ლიცეუმში გამართულ მათემატიკის კონკურსში მოპოვებული წარმატებისთვის ქების სიგელი დაიმსახურა, მერე კი ლიცეუმის წლის საუკეთესო მოაზროვნედაც აღიარეს, მოგვიანებით საერთაშორისო მათემატიკურ თამაშ-კონკურს „კენგურუშიც“ გამოიჩინა თავი და საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრ „ბალავარის“ სერთიფიკატი მიიღო. ამ ჯილდოებს შარშან მათემატიკის ტურში მესამე ადგილისთვის მიღებული ლიცეუმის დიპლომაც დაემატა...

მათემატიკის ნიჭი ჭადრაკშიც ეხმარება. სალომე ბევრს და სერიოზულად მუშაობს, თუმცა მორიდებული ხასიათის გამო არც აქ ცდილობს გამორჩეულად მოხედეს ვინმეს თვალში. მაგრამ სპორტული მიღწევებით, რომლებიც თავისთავად მეტყველებს ნორჩი მოჭადრაკის ნიჭიერებასა და შორს მიმავალ პერსპექტიულობაზე, სალომემ უკვე მიიქცია ყურადღება. III ადგილი საკვალიფიკაციო ტურნირში (1998 წ.), III ადგილი თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს მიერ ჩატარებულ ქალაქის პირველობაზე 10 წლის გოგონებს შორის, I ადგილი ნონა გაფრინდაშვილის იუბილისადმი მიძღვნილ ტურნირში (2001 წ.). 2002 წლის დეკემბერში საკვალიფიკაციო ტურნირში ნაჩვენები შედეგების საფუძველზე 12 წლის სალომე სირაძეს I თანრიგი მიენიჭა ჭადრაკის ხელოვნებას სალომე დედის, ცნობილი მოჭადრაკის მაკა ხანთაძის ხელმძღვანელობით ეუფლება სხვა მის მოწაფეებთან ერთად. ქალბატონ მაკას ახარებს შვილის ნიჭიერება, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, მისი მიღწევები სკოლასა და ჭადრაკში, თუმცა ოდნავ აფიქრებს ის ამბავი, რომ სალომეს სითამამე აკლია და უკან, ჩრდილში დგომა ურჩევნია. მაგრამ, ცხადია, გულის სიღრმეში მაინც დარწმუნებულია, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

სალომე სირაძის მიერ მიღებულ მოჭადრაკის საკვალიფიკაციო წიგნაკში მოთავსებული გულთბილი მისაღება, რომელსაც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ნინო გურიელი აწერს ხელს, შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ვისურვებ, ეს წიგნაკი გამხდარიყოს შენი დიდი წარმატების პატარა მატთანე!“ ეჭვი არ არის, რომ სალომე სირაძე ამ მატთანეში არა ერთ და ორ წარმატებას ჩაწერს.

ნანა ყენია



1998 წ. ივნისი - III თანრიგი, 1999 წ. იანვარი, საახალწლო-სამობაო ტურნირი - III ადგილი, 1999 წ. მარტი, საკვალიფიკაციო ტურნირი - II ადგილი, 1999 წ. ოქტომბერი საქართველოს პირველობის შესარჩევი ტურნირი - V-VI ადგილი, 2000 წ. მაისი, 161-ე სკოლის კლასების გუნდური ჩემპიონატი - II ადგილი, 2000 წ. აპრილი - II თანრიგი, 2001 წ. ნონა გაფრინდაშვილის იუბილისადმი მიძღვნილი ტურნირი - IV ადგილი, 2001 წ. დეკემბერი, საკვალიფიკაციო ტურნირი - III ადგილი, 2003 წ. მაისი, ვაკე-საბურთალოს რაიონის პირველობა - II ადგილი. ეს თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის ნანა ყენიას ნაბიჯებია საჭადრაკო მწვერვალისაკენ მიმავალ გზაზე. თუმცა, ჭადრაკის გარდა, ნანას სხვაც ბევრი რამე უყვარს, იტაცებს და აინტერესებს, ეჭვი არ არის, რომ იგი ამ გზას არ გადაუხვევს. სულ პატარა იყო, კერძო საბავშვო ბაღში დადიოდა, როცა იქაურმა მასწავლებელმა ჭადრაკის ფიგურების სელები აჩვენა და დააინტერესა. მის შემდეგ, ხან მამას შეუწინდებოდა, ხან ბაბუას და მოგვიანებით, როცა სერიოზული ინტერესი შეატყვევს, ჭადრაკის სასახლეში მიიყვანეს. მაშინ ნანა 8 წლის იყო. მეცადინეობა ლელა თანდაშვილთან დაიწყო, დღეს კი იგი მ. ხანთაძის ხელმძღვანელობით იმდიდრებს ცოდნას. ნანას ბიჭებთან უფრო უყვარს თამაში, მათთან რაღაცნაირად უფრო თამამად თამაშობს, ბიჭებიც თავის მხრივ უფრო მონდომებულები და ფსიქოლოგიურად დაძაბულები, მობილიზებულები არიან ხოლმე, ვაიმე, გოგოსთან როგორ უნდა წაეგო და ამიტომაც ნანასთვის ყველა პარტია უფრო საინტერესოა. საერთოდ, უფრო თამამი, შემტევი ჭადრაკი მოსწონს. ალბათ, ამიტომაც უყვარს ქართველი მოჭადრაკეებიდან გამორჩეულად ნონა გაფრინდაშვილი, თანამედროვეებიდან კი - გიგა ყაჭვიანი და მაია ლომინიანი. ჭადრაკი თავისთავად, მაგრამ ფეხბურთიც ძალიან უყვარს, ჩემპიონთა ლიგის მატჩებს გვიან ღამემდე უყურებს ხოლმე, ხშირად შინ ყველა იძინებს, ის კი ტელევიზორს ვერ სცილდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი საყვარელი მადრიდის „რეალი“ თამაშობს.

სკოლაში ყველაზე მეტი ხალისით ალგებრას და ჰუმანიტარულ საგნებს, კერძოდ, უცხო ენას და ქართულს სწავლობს, მომავალში პროფესიულ ჟურნალისტობას აპირებს, ჯერჯერობით კი ბავშვთა ფედერაციაში, ADC-ში ეუფლება ჟურნალისტიკის საფუძვლებს, იქ მსახიობის ოსტატობასაც ასწავლიან, რეჟისურასაც, კომპიუტერსაც. როგორც ხედავთ, ნანას ბევრი რამე აინტერესებს და უყვარს, მაგრამ მთავარი მაინც ჭადრაკია, ჭადრაკია მისი ყველაზე დიდი სიყვარულიც და გატაცებაც.



კითხვა-თქვანი

როგორ წარმოვაქმანოთ და დავაინსტალიროთ

მამაჩემს ბევრი ჟურნალი აქვს შენახული და ერთ-ერთ მათგანში ამოვიკითხე, დედამიწა ჯერ კიდევ ძველმა ბაბილონელებმა აწონესო. მე ვიცი, რომ დღეს ათასწიანი საშუალება არსებობს ბევრ კითხვაზე პასუხის მისაღებად, მათ შორის დედამიწის წონასთან დაკავშირებითაც. მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ძველ დროში როგორ მოახერხეს ეს ადამიანებმა?

ზია მუჯირი, 12 წლის

თუმცა ძველად ადამიანს ძალზე პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონდა ბუნების საიდუმლოებებზე, იგი ყოველთვის ცდილობდა, აეხსნა ისინი. მისი მუდმივი ინტერესის საგანი იყო დედამიწაც. ჩვენი წინაპარი სულ იმის ცდაში იყო, გაეგო, თუ სად იწყება და სად მთავრდება მიწა, როგორია მისი ფორმა თუ ზომა. თურმე ჯერ კიდევ მექესე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქალდეელებმა გაზომეს დედამიწის მერიდიანი. მათი გამოკვლევით მისი სიგრძე უდრიდა 76.800 კილომეტრს. მაგრამ დედამიწის ფორმის დადგენაში და გაზომვაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით ძველ ბაბილონელებსა და ბერძნებს. ბაბილონელებმა წრეხაზი 360 თანაბარ ნაწილად გაყვეს და ერთ პატარა კუთხეს გრადუსი უწოდეს („გრადუსი“ ნიშნავს ნაბიჯს); მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია არავითარ ცნობას, თუ როგორ ზომავდნენ დედამიწას ბაბილონელები. ერთი ძველი ქალდეური ხელნაწერის მიხედვით ბაბილონელებს გაუზომავთ დედამიწის წრეწირი და დაუდგინათ, რომ მისი სიგრძე 24.000 მილს აღწევდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რას უდრიდა იმდროინდელი მილი. ქალდეური მასალების მიხედვით ერთი მილი დაახლოებით აქლემის 40.000 ნაბიჯის ტოლი იყო, და რაჟი აქლემის ნაბიჯი საშუალოდ 80 სმ-ია, გამოდის, რომ ბაბილონელთა გაზომვის მიხედვით დედამიწის წრეწირის სიგრძე 76.800 კილომეტრს უტოლდებოდა. სწორედ ამით ჩაეყარა საფუძველი დედამიწის გაზომვას. როგორც წესი, ძველად მანძილს ცხენის ან ადამიანის ნაბიჯით ზომავდნენ. მაგრამ ნელი სიარულისას ნაბიჯი მოკლეა, სწრაფი სიარულისას კი გრძელი, მოდი და გაიგე, რას უდრის ნაბიჯის სიგრძე. აქ ადამიანი შეიძლება ათასი კილომეტრებით შეცდეს.

ძველი ჩინელების აზრით, დედამიწას კვერცხისებური ფორმა ჰქონდა. თურმე ორმა ჩინელმა შემდგენიარად გაზომა დედამიწა: ერთი წავიდა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, მეორე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე შედეგი მიიღეს. ეს იყო 134.000 ლი, რაც დაახლოებით 40.000 კილომეტრს უდრის. ჩინური წყაროები არ გვაუწყებენ, თუ როგორ გაზომეს ასე ზუსტად ჩინელებმა დედამიწის წრეწირი, მაგრამ ფაქტია, რომ ბაბილონელებსა და ძველ ჩინელებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედარებით ზუსტად გაუზომავთ დედამიწა.

ბერძენი მეცნიერის არისტოტელეს ცნობით, გამოჩენილმა მეცნიერმა ჰიპარქემ თურმე გაზომა მ ანძილი მზეს, დედამიწასა და მთვარეს შორის, თუმცა რა ხერხით გააკეთა ეს ან რა შედეგები მიიღო, ამაზე არისტოტელე არაფერს ამბობს.

დედამიწის გაზომვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველ ბერძენ მეცნიერს ერატოსთენეს. მან გამოიგონა მზის სიმაღლის გასა-

ზომი ხელსაწყო – სკაფისი, გაზომა მზის ზენიტური მანძილი ეგვიპტის ქალაქებს სიენასა და ალექსანდრიას შორის, რის შედეგადაც გამოარკვია, რომ დედამიწის ეკვატორის სიგრძე იყო 39.650 კილომეტრი (ეს შედეგი ნამდვილი მანძილისაგან მხოლოდ 257 კილომეტრით განსხვავდება), ხოლო განედი სიენასა და ალექსანდრიას შორის 7,2 გრადუსს უდრიდა, ეს კი დედამიწის წრეწირის მეორმოცდაათედ ნაწილს შეადგენდა.

თუ რკალის სიგრძედ, იმდროინდელი საზომი ერთეულების მიხედვით, 5.000 სტადიას ვიანგარიშებთ, მაშინ წრეწირის სიგრძე 250.000 სტადიას უდრის. ამ მონაცემებს ერატოსთენემ ყოველი შემთხვევისათვის მიუმატა 2000 სტადია, რადგან 252.000 უნაშთოდ იყოფა 360-ზე. ზუსტად არ ვიცით, თუ რას უდრიდა ეგვიპტური სტადია. მაგრამ მეცნიერთა მიახლოებითი გამოანგარიშებით ეს იყო 158,6 მეტრი, გამოდის, რომ ერატოსთენეს მიხედვით, დედამიწის წრეწირის სიგრძე 39.650 კილომეტრს უდრიდა.

ეს ბრწყინვალე შედეგია. ერატოსთენეს საერთოდ დიდი დამსახურება მიუძღვის გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე – მან პირველმა შემოიღო ტერმინები – გეოგრაფია, გრადუსთა ბადე, გეოგრაფიული განედი და გრძელი და სხვა.

ფრანგი ასტრონომის მოროს აზრით, ხეოფსის პირამიდის სიმაღლე იმაზე მეტყველებს, რომ ძველ ეგვიპტელებს უნდა სცოდნოდათ მანძილი დედამიწიდან მზემდე. თურმე, ეს პირამიდა დედამიწიდან მზემდე მანძილის ზუსტად ერთი მეძილიარდელი სიმაღლისა ყოფილა (148,208 მეტრი). ამას ადასტურებს პირამიდის კედლებზე ამოკვეთილი კიდევ ერთი ციფრი – 2520. ეს ციფრი თურმე ერთადერთია, რომელიც იყოფა ყველა რიცხვზე ორიდან დაწყებული და ათით დამთავრებული.

ერატოსთენეს შემდეგ დედამიწის წრეწირი გაუზომავს ბერძენ მეცნიერს კლეომენს (მეორე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შედეგი – 56910000 მ), ხოლო პირველ საუკუნეში პოსიდონეს, რომლის შედეგი ნამდვილი მონაცემიდან ძალზე შორს დგას (34 146 000 მ).

ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე არაბ მეცნიერებს, მათ შორის ჰაბიბ-იბნ-აბდულ მალიქ ალი იბნ სინის (IX საუკუნე, შედეგი – 41 779 000 ს). დედამიწის წრეწირი გაუზომავს გამოჩენილ უზბეკ მეცნიერს ალ-ბირუნისაც. პოლანდიელი მეცნიერის სნეულიუსის გამოგონილი ტრიანგულაციის მეთოდის (ტრიანგულაცია ნიშნავს „სამკუთხედს“) და ახალი ხელსაწყოების საშუალებით XVII-XVIII საუკუნეებში დედამიწის წრეწირი გაზომეს იმავე სნელიუსმა, აგრეთვე ჰაიარმა, ნიუტონმა, ჰიუგენსმა, ლა-კონდამინმა, ლაპლასმა, დალამბრიმ, კლერმა და სხვებმა.

როგორც ირვევა, ჩვენი წინაპრები არცთუ ისე ცუდად ზომავდნენ დედამიწის წრეწირს, თუმცა საკმაოდ პრიმიტიული ხელსაწყოები ჰქონდათ. სადღეისოდ მიღებული ოფიციალური მონაცემებით დედამიწის წრეწირის სიგრძე ზუსტად უდრის 40. 076. 594 მეტრს, დედამიწის ფართობი – 510. 100.934 კილომეტრს, ხოლო მთლიანად დედამიწის მოცულობა – 1. 083. 320. 000.000 კუბურ კილომეტრს.

პასუხი-რვენი

საკონტროლო ჩერა თემაზე: „სახელის გატეხვის თავის გატეხვა სჯობია“

ფარან თბილისის 186-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეები. კლასის ხელმძღვანელი მკა ლომთათიძე

ერთ დღეს სკოლაში წასვლა დამეზარა. დედა მოვატყუე თავი მტკივა-მეთქი. დედამ სიცხის სასობი მომცა, მე თერმომეტრს ხელი მივარტყე და სიცხის მაჩვენებელმა აიწია. რა თქმა უნდა, დედამ სკოლაში არ გამოშვა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ მოვატყუე დამის შემდეგ აღარაფერს მიჯერებდა.

ქეთევან ხატისაშვილი

ერთხელ, სოფლის ბიჭები ცხენით ჯირითში შევეჯიბრეთ ერთმანეთს. ჩემზე უფროსებმა დამცინეს, ეგონათ ცხენს ვერ გავატყენებდი. მართალია, მეშინოდა, მაგრამ არ შევიძმინე, ცხენს მოვახტი და გავატყენე, თითქოს დიდი მოჯირითე ვიყავი - აბა, თავს ხომ არ შევირცხენდი?!

თელა რეზიაშვილი

ერთ დღიას საშინლად არ მინდოდა სკოლაში წასვლა. თავი მოვიავადმოფე. დედამ თერმომეტრი მომცა სიცხის გასაზომად. პოდა, ქურდს რა უნდა და ბნელი დამეო, მეც დრო ვიხელთე და თერმომეტრი უკუღმა დაფერთხე. ორი დღე 39 მქონდა ტემპერატურა. მესამე დღეს კი მიხვდა დედა ჩემს ოინს. ჩემდა გასაოცრად, ორი დღის შემდეგ მართლა მომცა სიცხე, დედაჩემს აღარ სჯეროდა. როცა მიხვდა, რომ მართლა ცუდად ვიყავი, მხოლოდ ეს მითხრა: „სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობია“.

ლაშა ამირხანაშვილი

როგორც ყველა ბავშვს, რუსული მიჭირს, ამიტომ მშობლებმა რეპეტიტორი ამიყვანეს. ერთ დღეს დანიშნულ დროს რუსულზე მისვლას შეგობართან თამაში ვამჯობინე. დრო ისე შეუმჩნეველად გავიდა, რომ ვერც კი გავიგე. სახლში ასულმა დედა მოვატყუე: - ისე დავიღალე, მოკვდი ამდენი მეცადინეობით-მეთქი. დედაჩემს ძალიან ესო-ამოვნა, თავზე ხელი გადამისვა და შუბლზე მაკოცა.

ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა. რუსულის მასწავლებელმა დარეკა და დედაჩემს ყველაფერი მოახსენა. ცემას კი გადავურჩი, მაგრამ სახელი გავიტეხე.

ლაშა გოგუა

სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობია, ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე. მამიკო სულ მეუბნებოდა, არ გადაღო გაკვეთილების სწავლა. შაბათსვე მოიშორეო. მეც ვპირდებოდი და თან სანაცვლოდ თხოვნას ვუყენებდი. მამა თხოვნას მაშინვე მისრულებდა, მაგრამ შაბათს გული სათამაშოდ მიმიწევდა და პირობას არასდროს ვასრულებდი. ახლა მამა თხოვნას მანამდე არ მისრულებს, ვიდრე მის დავალებას არ შევასრულებ.

ნეკა აბაშიძე

ერთხელ, როცა მალაზიაში მივედი, იფიანი პროდუქტი ვიყიდე. ხურდა მომრჩა და იმით, რაც მინდოდა, ის ვიყიდე. როცა სახლში მივედი, ვერაინ მიხვდა ჩემს ოინს. ასე გაეკეთე ორჯერ და მესამედ დედამ გაიგო. ამის შემდეგ აღარ მიშეებენ და ყოველთვის ჩემს ძმას აგზავნიან.

თონა ქავთარაძე

მე არასოდეს ვიტყვი ტყუილს, იმიტომ, რომ დავრწმუნდი, გატეხილი სახელის დაბრუნება ძალიან ძნელია, თუ ერთხელ დაგერქვა მატყუარა, რამდენიც არ უნდა ეცადო, ამტკიცო, რომ მართალი ხარ, აღარავინ დაგიჯერებს. აი, ჩემი უფროსი ძმა ხან რას იფიქრებდა, ხან რას, სკოლაში წასვლა რომ ეზარებოდა, მაგრამ დედა ეშმაკობას მიუხვდა და, როდესაც მართლა სტკიოდა მუცელი, აღარავინ დაუჯერა და ჩემი ძმა კინწისკვრით გააგდეს სკოლაში.

თამუნა კვაჭატაძე

ჩემს დას ძალიან უყვარს ტკბილეული. დედა ვერასოდეს ინახავს, მაინც მიაგნებს და შეჭამს. ერთხელ დავინახე, რომ დედამ შეინახა „ბამბანერა“. შოკოლადი მეც ძალიან მიყვარს. გავხსენი და რამდენიმე დღე ჩემთვის ჩუმად ვჭამდი. ცარიელი ყუთი თავის ადგილზე დავდე. ერთხელ დედას სტუ-მარი მოუვიდა. ყავა მოაღულა და „ბამბანერა“ გამოიღო. რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა, რომ ცარიელი იყო. ჩემთვის არც შემოუხვდავს და იერიში ჩემი დისკენ აიღო. საწყალი თავს იმართლებდა, მაგრამ მისი სიძარბოლის არავის სჯეროდა.

ირაკლი ლავრინსკი

ბორჯომში, სადაც ჩვენ ვისვენებდით, პირველ სართულზე კომპიუტერების ცენტრი იყო გახსნილი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დედაჩემს კი გულზე შემოვიყარა. მიელი ჩემი ბიუჯეტი კომპიუტერებში დახარჯე. მერე დედას გამოვართვი. მან იმ პირობით მომცა ფული, რომ არ მეთამაშა, მეც შევიპირდი, მაგრამ სულმა წამძლია და იგივე გავაკეთე, დედა მოვატყუე. მეორე დღესაც იგივე გავიმეორე. ბოლოს მიმიხვდა ყველაფერს და შეწყვიტა ჩემი დაფინანსება.

ბესო ჯუღელი

ერთხელ დედაჩემმა მალაზიაში გამაგზავნა, ორი პური უნდა მეყიდა. მივედი მალაზიაში და ერთი პური ვიყიდე. მეორე პურის ფული მე დავიტოვე ბუფეტის ფულად და სახლისკენ წამოვედი. გზაზე მიხვდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ უკვე გვიან იყო. უკან დაბრუნდი და მალაზია დაკეტილი დამხვდა. წამოვედი სახლში, სანამ შევიდოდი, ვიფიქრობდი რა მეთქვა. ბოლოს გადავწყვიტე, სიძარბოვ მეთქვა. დედა არ გამიბრახდა, რადგან სიძარბოვ ვაღიარე.

მარიამ ნადირაძე

ერთ დღით სკოლაში წასვლა დამეზარა. მეორე დღეს მისვლისთანავე მასწავლებელმა მითხრა გაცდენის მიზეზი, მე კი მოვატყუე, სიცხემ ამიწია და დედამ არ გამოიშვა-მეთქი. იმ დღეს ჩემი ძმა შეხვდა მასწავლებელს და ბოდიში მოუხადა, ოჯახში ყველას დაგვიძინა და სალომე ვერ გამოვიუშეთო.

მეორე დღით სკოლაში რომ მივედი, რადგან თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მასწავლებელს ბოდიში მოუხადე. ამის შემდეგ რამეს თუ ვიტყვი და მასწავლებელი შემომხვდავს, მგონია, რომ არ მიჯერებს, რადგან ერთხელ უკვე მოვატყუე.

სალომე ფუტყარაძე

სოფელში ბებოს პატარა გოჭები ჰყავდა. ძალიან საყვარლები იყვნენ და სულ მათთან ყოფნა მინდოდა, ხელში ვათამაშებდი და ბებო კი მიშლიდა. თავი რომ მოვაბერე, მითხრა: - ბაბუ მოვა და მასთან ერთად გავიშვებო. ბაბუ იგვიანებდა. უცებ აზრი დამეზარა, ტყუილი მეთქვა. ბებო ჩანაფიქრს მიმიხვდა, ბაბუ მართლა მოვიდა, მაგრამ ბებომ აღარ დამიჯერა. მერჩინა თავი გამეტეხა სახელის გატეხვას, თავი მომიჩრებოდა, სახელი კი შევირცხვინე.

სალომე ვორგიაშვილი

ერთხელ საკონტროლოში ცუდი ნიშანი მივიღე, დედაჩემს კი ვუთხარი, რომ ხუთი მივიღე. დედამ გამიგო ეს და ძალიან ეწყინა. ამის შემდეგ მე სულ ხუთებს ვიღებ, მაგრამ დედას არ სჯერა და სულ მამოწმებს. მე კი გეტყვით, რომ „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობია“.

თონა ბურდული

როდესაც ცეკვა დამიძიარდა, ვნახე, რომ ჩემი ფეხსაცმელები ადგილზე არ იყო. ძალიან შემეშინდა, მაშინვე დედას დავუძახე, დედაჩემი ძალიან განერვიულდა, ჩემი მასწავლებელი ზალი ნერვიულობისაგან სულ წითელი იყო, ის მაშინვე მიხვდა, ვისი ჩადენილიც იყო, რადგან ამისთანა საქციელში რამდენჯერმე შემჩნეული ყოფილა, შეიძლება ეს იმ ბავშვის ჩადენილი არ იყო, მაგრამ მას სახელი გატეხილი ჰქონდა.

თამუნა ბობოხიძე

სოფელში მყავს კნუტები, რომლებიც სხვენში ცხოვრობენ. მე მიყვარს მათთან თამაში. სანამ კნუტებს ვნახავ, კიბზე უნდა ავიდე. დედა მიერძალავს მათთან თამაშს, რადგან ემოციური ქალია. ერთხელ დედა მოვატყუე, ვითომ ბავშვებთან მივედიოდი, სინამდვილეში კი კნუტებთან წავედი. დედამ იმ დროს წამასწრო, კიბეზე რომ ავდიოდი. არ გაბრახდა, მაგრამ თავი კი შევირცხვინე.

გვანცა წამალაშვილი



ერთ დღეს გაკვეთილი არ ვიცოდი და თავი მოვიავადმყოფე, ვითომ თავი მტკიოდა. მასწავლებელმა ჯერ ღუმელთან გამათბო, მერე სახლში გამიშვა. სახლში რომ მივედი, დედიკო მიხვდა ჩემს ეშმაკობას და მითხრა: იცოდე, სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო.

მარიამ ქამუშაძე

სახლში ჩემს დას ხშირად ვაწვალებ, ამის გამო თამუნა სულ ჭკაცყანებს და ტირის, ამიტომ მშობლებისგან ხშირად მხვდება. ერთხელ თამუნა ჩემმა ძმამ სცემა და მეორე ოთახში გავიდა. ის მთელი ხმით ღრიალებდა. დედაჩემი გაბრაზებული შემოვარდა ჩვენს ოთახში და ისე წამომარტყა, კინაღამ სკამიდან გადავოჯვარდი. მე კი ამ დროს ჩემთვის ვიჯექი და კროსკორდს ვავსებდი. საერთოდ, სახლში თუ რაიმე გაუფუჭდა ან გატყდა, იტყვიან, რა თქმა უნდა, გიორგი იხამდაო. მოკლედ, საშინლად მაქვს სახელი გატეხილი.

გიორგი ნანსყანი

ჯონიდან ამოსულს დედიკომ მიხოვა ხელები კარგად, სახნით დამებანა. რადგან ოჩანში ცივი წყალი მოდიოდა, დამეხარა და ოჩანი მოვუშვი, მეგონა დედა წყლის ხმას გაიგებდა და იფიქრებდა, რომ ხელებს ვიბანდი. თითქოს დედას გულმა უგრძობო და ხელები შემიძოწა, მე თავი ვიმათილე, მაგრამ თვალები ვერ გაუფსწორე, მან კი მიპასუხა: „იცოდე ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენო!“ მე ძალიან შემრცხვა ჩემი საქციელის.

ნატო სვანიძე

ერთ დღეს სოფელში ბებიამ და ბაბუამ ვენახში სამუშაოდ წამიყვანეს. რადგან მუშაობა მუხარებოდა, მუცლის ტკივილი მოვიმიხეზე. ბებიამ დამიჯერა და სახლში წამიყვანა, წამლები დამალეყინა, დამაწვინა და თავს მეველებოდა. ცოტა ხანში ბიჭებმა დამიძახეს, ისე წამოფიქრინდი, აღარც კი მახსოვდა მუცლის ტკივილი. ეს ბებიას შეუმჩნეველი არ დარჩა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მეორე დღეს ისევ დამბატიყვეს სამუშაოდ ვენახში, მე კი მუცელი მართლა მტკიოდა, მაგრამ ბებომ აღარ დამიჯერა.

უჩა ნანსყანი

ერთ დღეს მე და ჩემი მეგობრები მდინარეზე დაუკითხავად წავედით. დიდი ხნის შემდეგ, ბანაობით გული რომ ვიჯერეთ, სახლში დაებრუნდით, დედა მოვატყუე მეგობართან ვიყავი-მითქვი, მაგრამ სველმა შარვალმა გამყიდა. ტყუილის გამო მკაცრად დავისაჯე, მთელი დღე წიგნები მაკითხეს, მეორე დღეს კი წამიყვანეს მდინარეზე. იმდენ ხანს მატყუეშალავეს, სანამ „ვაი დედა“ არ მაძახებინეს. ჩემი საქციელის გამო დავისაჯე.

მიშვიო ცინდელიანი



ერთხელ დედაჩემმა მთქმელს კარგად ისწავლე, ხვალ სკოლაში ჩვენს უნდა მიიღო. მე ოთხი მივიღე. როცა სახლში მივედი, დედა მოვატყუე ვითომ ხუთი მივიღე. თითქოს ჩემს თვალებში ამოივითხა ჩემი ეშმაკობა და ლექსის ჩაბარება მომიხოვა. რა თქმა უნდა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, დედამ დღიური ნახა, შიგ კი ოთხიანი მეწერა. დედას სირცხვილით თვალებს ვედარ ვუსწორებდი. ამის შემდეგ ვცდილობ ჩემი შერცხვილილი სახელი აღვადგინო, მაგრამ ამაოდ, დედა არ მიჯერებს.

ლევან ხაჭაპურიძე

როცა ბათოქში ვისვენებდი, მიცნობდნენ როგორც ონავარ ბიჭს, რადგან ბევრ საშინელებას ჩავდიოდი, სახელი გატეხილი მქონდა. ჩემს მქნობელს ომარი ბიძიას, ბერი მტრედი ჰყავდა, მე მათ დაბურვებში ვეხმარებოდი და საწყურად ზუნდებოდა შემაძრავს. ერთ საღამოს ვყვალს ჩუმად დედალ მტრედს კუდზე ბუმბულები დაეცა. დილით მტრედების სანახავად შესულმა ომარი ბიძიამ, რა დანახა კუდაჭრილი მტრედები, საშინლად გაბრაზდა, ამის ჩამდუნსაც ადვილად მიხვდა და იმით დამსაჯა, რომ შეპირებული ზუნდები ვედარ მივიღე.

გიორგი ჯავახიშვილი

ჩემი მეგობარი გიორგი ბერი ტყუილში დავიჭირე და ამის გამო აღარ ვწინდობდი, სახლში კი ვერ ვამხელდი, რადგან ის ჩემს ოჯახში ვეღვალას უყვარდა. ვარიგები ტყუილი არ ეთქვა, მაგრამ ამაოდ. ერთ დღეს მე და მამაჩემმა გადავწყვიტეთ წავსულიყავით კინოში. მამამ ჩემი მატყუარა მეგობრის - გიორგის წამოყვანა მოინდომა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან მასთან მეგობრობა სახელს მეც გამიტეხდა. გიორგის ეწინა, ამის მერე ის ცდილობს ვაეკაცის სახელი დაიბრუნოს.

სალიძე დილიძე

მე მყავს ერთი დედაძვილი, თორნიკე. ძალიან თავნება ბავშვაა. ერთ დღეს ის სკოლიდან გააძარა. ბერი ძეხნის შემდეგ იპოვეს. მას მასწავლებლებთანაც და კლასიკლებთანაც სახელი გაუტყდა. დაავწყდა, რომ „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობია“.

თამარ ხომასურიძე

ოთხი წელი ოთხ დღედ მიიღია. განშორების დღეები რომ ახლოვდება, სვედა მემატება... ჩემი დაფრთხილებული მართვეები, ახლა სხვის ფრთებს უნდა შეეფაროთ... მანამ, სანამ თავად არ იქცევით სხვათა მფარველად.

მე თქვენნი მჯერა, მჯერა და ეს მათმეხინებთ ცრემლებს. თუმცა პირველი ხომ არაა... თქვენსავით რამდენი გამისტუმრებია...

სიტყვა მომეცით, ბიჭებო, ვაყვაცურად შეუდექით მოძავლს!

თვალეებში შემომხედეთ, ჩემო ფერიებო, სიკეთით შეუდექით ცხოვრებას!

მე თქვენნი მჯერა, ჩემო პატარებო! თქვენნი მას მასწავლებლებს!

როდესაც ეზოში ჩასვლა ან მეგობართან წასვლა მომინდება, დედას ვპირდები, რომ დანიშნულ დროს სახლში დაებრუნდები, მაგრამ თამაშში დანაპირები მაიწყვლება და სახლში ვაგვიანებ. დედამ დამსაჯა და არსად აღარ მიშვებს, იმიტომ, რომ სახელი გაეიტყუე.

ნიკა თევზაძე

ბებია ხშირად მაგზავნიდა მალაზიაში სურსათის საყიდლად, მე კი ვცდილობდი შედარებით იაფიანი სურსათი მეყიდა და ხურდა დამრჩენოდა „სასუსნავისათვის“. ერთხელ ვერ მიმიხვდა ბებია, მეორედ... ბოლოს კი მიხვდა ჩემს ოინს და აღარ მიშვებდა მალაზიაში.

გვეო ფირცხალავა

როცა სოფელში ვისვენებდი, ბებოს ვუთხარი მეგობრებთან გავალ და მალე დაებრუნდები-მითქვი და ისიც დამთანხმდა. როცა დანიშნულ ადგილას მივედი, ისინი წასვლას აპირებდნენ, მეც შემომთავაზეს მათთან ერთად მგზავრობა, დავთანხმდი, ის კი ვერ მოვიფიქრე. სახლში რა მოხდებოდა. თურმე, დედა და ბებო მექებდნენ და ჩემი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. დრო ისე უცებ გავიდა, რომ ვერ შევამჩნიეთ. წარმოიდგინეთ სახლში დაბრუნებულს რა მომივიდოდა. იმ დღიდან გარეთ აღარ მიშვებდნენ.

ბექა შაქარაშვილი

ერთხელ ბავშვები და მშობლები წავედით ტყეში. ნახევარი გზა გაკვილი გვექონდა, როცა ბავშვებს შევთავაზე სახლში მარტო დაბრუნება. ვუთხარი, რომ გზა კარგად ვიცოდი. ბავშვებს მოეწონათ ჩემი წინადადება და ჩუმად გავეპარეთ მშობლებს. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, მივხვდით, რომ დავიკარგეთ. დავიწყეთ უთავბოლოდ სიარბილი, ვინ რომელ მხარეს ვარბოდა, ან რას იძახდა უკვე აღარ მახსოვს, გოგოებმა ტირილით გაგვაყრუეს და უარესად აგვიშალეს ნერვები. ჩვენ ბელად მწყემსმა ჩამოიარა, შეგვიკრიბა ყველა და თვითონ მიგვაცილა სახლამდე. მას შემდეგ ბიჭები აღარსად მომყვებოდნენ, გოგოები კი ახლოსაც არ მიკარებდნენ.

სანდრო კობეშვიძე

27826

საგანგამო ინფორმაციის სპირიტები ფეხებით ვადასცემენ

უხარმასარი სპილო მთელი ძალით ურტყამდა ფეხს მზისგან გაეარვარებულ საგანის მიწას. ამ დარტყმისგან მიწა გიგანტური ტამბამივით გუგუნებდა, დროდადრო სპილო ხორთუმს ზევით სწევდა და განგაშით აღსავსე ხმას გამოსცემდა, თითქოს თანამომძებებს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ აფრთხილებდა. სპილოს ფეხის დარტყმით გამოწვეული ვიბრაცია ათობით კილომეტრის მანძილზე მსწრაფლ გავრცელდა დედამიწის ზედაპირზე. ადამიანის სმენისთვის ეს ხმა მიუწვდომელია, სპილოები კი 30 კილომეტრითაც რომ იყვნენ დაშორებული იმ თანამომძებანს,



რომელიც ნიშნს გადასცემს მათ, სულ ადვილად არჩევენ ამ შეტყობინებაში ჩადებულ ინფორმაციას. ხოლო დაწვრილებით ამ ინფორმაციის შესახებ გიგანტები ხორთუმ-საყვირის მემუვებით და უხარმასარი ყურების პარტყუნით ისე ხმამაღლა ვადასცემენ, რომ არემარეს აყრუებენ.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სპილოების ამგვარი „ტელეგრაფით“ გადაცემული სიგნალები შეიძლება მისაღმებას ნიშნავდეს, ანდა საშიშროების შესახებ გაფრთხილება იყოს.

როგორც გამოირკვა, სპილოები ფეხების მემუვებით საუბრობენ და ამ დროს კარგად განვითარებული სეისმური სიგნალების სისტემას იყენებენ. „საუბრებს“ კი ვადასცემენ ინფორმაციის ხასიათის მიხედვით ხშირად ზედ სხვადასხვა სიძლიერის ყვირილსაც ურთავენ.

ბიოლოგებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი „ტელეგრაფით“ მარტო სპილოები კი არ სარგებლობენ, არამედ სელაპებიც, ქვეწარმავლებიც, თევზებიც და მწერებიც კი. სიგნალები შეიძლება პარტნიორის ძიების გამომხატველი იყოს, ან შეიძლება ამ გზით სპილო დანარჩენებს ამცნობს, ეს ტერიტორია მე დავისაუთრე და ყველამ იცოდეთო, შეიძლება ეს სიგნალი დახმარების თხოვნის „ტექსტსაც“ შეიცავდეს. მეცნიერთა აზრით, სპილოების სისტემა ყველაზე დიდი სირთულით გამოირჩევა, თუმცა როგორც ჩანს, „სეისმური მეთოდების“ გამოყენებისას იგი ძალზე ეფექტურია.

გადმოცემული სიგნალის მიღებას და დედამიწის ზედაპირის ვიბრაციაში ჩადებული ინფორმაციის „წყაითხვას“ სპილო თითების მეტისმეტად მგრძნობიარე ფრჩხილების წყალობით ახერხებს. შემდეგ სიგნალი მის ტვინს გადაეცემა და იქ ხდება მისი დამუშავება. ზოგჯერ სპილოები ინფორმაციას პირდაპირ, უშუალოდ ხორთუმის საშუალებით იღებენ, ამ დროს ისინი ხორთუმით ეხებიან მიწას და როგორც სასმენ მილს, ისე იყენებენ მას, ზოგჯერ კი ორივე ვარიანტს იყენებენ.

ადრე ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, ეს გოლიათი ცხოველები ურთიერთობის დროს შორ მანძილებზე რომ ხმოვან სიგნალებს აგზავნიან, რომლებიც ხელშემწყობი ამინდის პირობებში 10 კმ. მანძილზე ვრცელდება. სპილოების მიერ გადაცემული სეისმური სიგნალები კი ხმოვან სიგნალებზე სამჯერ უფრო შორ მანძილზე ვრცელდება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სპილოები სწორედ ასეთი საშუალებით ვადასცემენ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციებს, პირველ რიგში კი განგაშის სიგნალს. ანგოლაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა და დაკვირვებებმა აჩვენა, რომ სპილოებს შეუძლიათ 160 კილომეტრის მანძილზეც კი ვადასცენ სეისმური სიგნალები. სპილოების „სეისმურ ტელეგრაფზე“ საუბრისას მეცნიერები აღნიშნავენ: „ამ მიმართულებით ჩვენი გამოკვლევები სპილოებით იმიტომ დავიწყეთ, რომ ისინი ხმელეთის ყველაზე დიდი ბინადრები არიან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა ცხოველებიც არ ვადასცემენ შორ მანძილებზე სიგნალებს, ვთქვათ, მარტორქები, ბიზონები ან ლომები“.

...ორი დღის საუაღზე იმ ადგილიდან, სადაც სპილო მიწას ფეხს ურტყამდა და ვადასცემდა სიგნალს: „ყველას, ყველას, ყველას“, მისმა თანამომძებ იგრძნო, რომ მიწის ოდნავ შესამჩნევ რყევასთან ერთად მის ფეხებში რაღაც საგანგამო სიგნალები შემოდის. უხარმასარი ცხოველის ტვინში განჩნდა წარმოსახვითი სურათი: სპილოების ჯოგი დამშრალ ნაკადულთან – მან ეს ადგილი იცოდა. ჯოგში არიან დედალი სპილოები, ახალგაზრდები, პატარები. უკან მათ თოფიანი ადამიანები მისდევენ, მათი მოკვლა უნდათ და ისმის საფრთხის მოახლოების მანიშნებელი სიგნალი – თავს უშველეთ, ძმებო...



ცქვი ჩამ ვაჭების შესახებ

ეგვიპტეში კატას აღმერთებდნენ. ხოლო როცა კატა კვდებოდა, მისი პატრონი გლოვის ნიშნად თმას იჭრიდა და წარბებს იპარსავდა, კატას აბალწამებდნენ და სპეციალურ სასაფლაოზე მარხავდნენ.

კატებს არაერთხელ უხსნიათ ნათესები მღრღნელებისაგან. ისინი ანადგურებდნენ ვირთხებს, ტიფისა და ჭირის გამავრცელებლებს, რომელთა ეპიდემიის დროს ძველად მილიონობით ადამიანი კვდებოდა. იმ დროიდან მოდის ანდაზა: „თუ კატას მოჰკლავ, შეიდი წელი ბედს არ უნდა ელოდო“.



შუა საუკუნეების ევროპაში ეკლესიამ კატა „უწმინდურ ძალად“ გამოაცხადა. კატებს სდევნიდნენ, კოცონზე წვაჯდნენ, აწამებდნენ, კედელში ცოცხლად ატანდნენ.

კატა სიბნელეში ხედავს, მას მახვილი სმენა აქვს და ის ატმოსფერული წნევის უმცირეს ცვალებადობასაც კი გრძნობს. როცა ამბობენ, კატა მოიგუნტა, ცხვირს მალავსო, უნდა იცოდეთ, რომ აცივდება.

სხვადასხვა ქვეყნებში კატასთან სხვადასხვა ცრურწმენა დაკავშირებული. რუსეთში შავი კატა უბედურების მომასწავებელია, ინგლისში კი პირიქით, სწამთ, რომ შავ კატას ბედნიერება მოაქვს, თერთს კი – უბედურება.

მისწავლეთ ღრუბის ეპინიკა

დელაენის დღეს მოსწავლეთა დღეების ჩართობაში დაიწყო ქართული ენის კვირეული, რომელიც შინაარსობრივად მრავალფეროვან, თუმცა კი ერთი საერთო დღესასწაულის – დელაენის დღის ნიშნით გაერთიანებული ღონისძიებებით აღინიშნა.

კვირეული დაიწყო საინტერესო ღონისძიებებით. სკოლა მასპინძლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც შემოდგომაზე მოინახულეს ტაო-კლარჯეთი და მოილოცეს ეს წმინდა ადგილები. ღონისძიების ორგანიზატორი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქეთევან ძნელაძე გახლდათ. ვიდრე სტუმრები წარმოადგენდნენ ფოტო-ვიდეო მასალას – „ტაო-კლარჯეთი დღეს“, პედაგოგმა განმარტა, თუ რატომ დაიწვეს კვირეული სწორედ ამ ღონისძიებით; მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ენის სახელმწიფოებრიობის იდეას სწორედ საქართველოს ამ ძირძველ მხარეში ჩაეყარა საფუძველი. ტაო-კლარჯეთი ჩვენი ტკივილი და სიამაყეა. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ქართულად ფრიადი ქუეყანა აღიარაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებს“, რაც ნიშნავს, რომ საქართველოა მთლიანად ის ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, ეს გახლდათ იდეა საქართველოს მთლიანობისა და ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებისა.

დასასრულს მოსწავლეებმა ექსპედიციის მონაწილეებს დაუსვეს შეკითხვები, რომლებზეც მათ სიამოვნებით უპასუხეს.

„დღეს თქვენ წინაშე საღალბოდ და საშაიროდ წარსდგნენ გუნდები, რომელთაც პირობითად შეიძლება უწოდოთ მოწინააღმდეგეები. ისინი შეეცდებიან იცინონ, თქვენც გაციონონ და თან ამ წლის მანძილზე სახელმწიფო ენასა და ლიტერატურაში შექმნილი ცოდნის მცირე ნაწილი მაინც გამოამჟღავნონ“ – ასე დაიწყო „საზრიანებისა“ და „მხიარულების“ ჭიდილი, რომელმაც სულ სხვა კუთხით დაგვანახა ჩვენი გოგო-ბიჭები, გვიჩვენა, რომ მთელი წლის მანძილზე ჩვენთან მათზე დახარჯულ შრომას ფუჭად არ ჩაუვლია.

მათ გაგვაგებინეს, რომ „თათქარიძობა“, ეს ტყუილზე აგებული არსებობა, არის ჩვენი არსებობა, რომ „შემოდგომის აზნაურებს“ XXI ს-შიც ჰყავთ მეტყვიარეები, ხოლო ზეპირსიტყვიერების ნიმუშის მაგალითად მოიყვანეს საკუთარი დაკვირვების შედეგად შეთხზული ანდაზა – „ისე ისწავლეთ, თითქოს ცოდნა არ გეჭირდება, ისე იცხოვრეთ და იმუშავეთ, თითქოს ფული არ გეჭირდება, ისე იცხოვრეთ, თითქოს დედამიწაზე საშობთა“...

და ბოლოს, მათ დაგვარწმუნეს, რომ საკუთარი პროფესიის სიყვარული და საქმის

დედაქალაქში ერთ-ერთი საყუთიესო, 128-ე საშუალო სკოლის ყოველთვის გამოირჩეოდს სახელობისი წრადიციებით. დრომ, თანამედროვეობის მოთხოვნებმა, განათლების სიხვედრეში მიმდინარე გარდაქმნებმა ახალი მინაჩისი, დაცვრიოვს და ელფერი შემადგეს ამ წრადიციებს და სკოლის ახედვს სიხსობავსე ცხოვრებას ყიდევ უფრო საინცერესო და მრავალფეროვანი გახადეს. არც ისე დიდი ხნის წინ აქ ყიდევ ერთ ყარგ წრადიციას – მოსწავლეთა დღეების ჩატარებას მივეცა დასაბამი.

გადავწყვიცი, 128-ე სკოლის წლებანდელ მოსწავლეთა დღეებზე აქყურ მოსწავლე-მასწავლებელთა მიერ გაყეთიებული ჩანახერების საშუალებით მოგითხროთ და ამ გზით შეძლებისდაგვარად წარმოგვინა შეგაქმნათ იმ განწყობისა და სკოლისყუთიებაზე, ამ დღეებში რომ სუფევდა სკოლასში.

ერთგულება ჭეშმარიტად დიდი ბედნიერებაა.

მოდით, გაეცხიროთ ქართული ლიტერატურის წილში, ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ – ასე მიმართა Va კლასის მასწავლებელმა მოსწავლეებს და ისინიც სიამოვნებით ჩაებნენ ვიქტორინაში, რომელიც მთელი წლის მანძილზე შესწავლილი მასალის შეჯამებას ითვალისწინებდა. ორ გუნდად გაყოფილი კლასი თავიდანვე ენერგიულად და ემოციურად პასუხობდა მასწავლებლის შეკითხვებს. რამდენიმე სწორი და გააზრებული პასუხის შემდეგ ვაუტების „შეგარდნი“ წინ გაიჭრა, რამაც გოგონების „მართვეს“ უკმაყოფილება გამოიწვია. პატარა თამთას და ქეთის პასუხებმა ყველა დაარწმუნა, რომ „მართვე“ ადვილად არ დაწებდებოდა, მათ ვაჟა-ფშაველასა და თედო რაზიყაშვილის მოთხრობების გმირებზე მსჯელობით დაასაბუთეს, რომ სიბრალულსა და თანადგომას მხოლოდ სუსტი, პატარა და უნუგეშო იმსახურებს და არა ღორბუცელა, რომელიც თავისივე სიხარბის მსხვერპლი ხდება. „შეგარდნი“ ემოციურად ახსნა, რომ მეტოქეები მარტო ღირსეული გამარჯვებისაკენ უნდა ისწრაფოდნენ და კაცს არ ეკადრება ისეთი ქცევა, როგორც რ. ინანიშვილის „ბიჭისა და ძაღლის“ ბიჭები მოქცნენ.

პანტომიმით განსახიერებულმა ლიტერატურულმა გმირებმა დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს. გ. ლეონიძის „ნატურის ხის“ ინსცენირებით კი ბავშვებმა კიდევ ერთხელ გეგარძნობინეს, რომ ოცნებათა სფერო უკიდევანოა, გამაბრუებელი ოცნებებიც უმეტესად ნაკლებად სრულდება; არც ელიოზს გაუმართლა. მაგრამ ოცნება რომ არ იყოს, ჩვენი სული ყინულის მყიფე ნაჭერივით დაიმსხვრევა და კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდება ცხოვრებაც.

ბეთოვერისა და შოპენის მუსიკამ ოცნების ლურჯ სივრცეებში გადაიყვანა ვიქტორინის მონაწილეებიც და სტუმრებიც. ქეთიმ და ნატომ, სოფომ და ნინომ, ლევანმა და თორნიკემ გულიდან ამოხეთქილი ხმა ააყოლეს მუსიკას და გალაკტიონ ტაბიძისა და ანა კა-

ლანდაძის, შოთა ნიშნანიძისა და მუხრან მაჭავარიანის ლექსები წაიკითხეს...


VII კლასმა შეხვედრა მოუწყო ცნობილ მოღვაწეს – პროფესორ ლეო კვაჭაძეს. ბატონი ლეო ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს ავტორია (V-IX კლ.). შეხვედრა ვულთბილ ვითარებაში წარიმართა. მეცნიერმა მოსწავლეებს უამბო მის მიერ გავლილი გზის შესახებ, პასუხი გასცა მათ შეკითხვებს.

V კლასში (დამრიგებელი ქ. ციფურაშვილი) ისტორიის პედაგოგმა ირმა კობალეიშვილმა ჩაატარა ღია გაკვეთილი, რომლის თემა იყო „ქეთევან წამებული“ და „ცხრა ძმა ხერხეულიძე“. გაკვეთილის დაესწრნენ სკოლის ქართულის მასწავლებელი თინა ავალიანი და ამავე კლასის ზუთი შშობილი. გაკვეთილი ძალზე საინტერესოდ ჩატარდა. მოსწავლეებმა საქართველოს ისტორიის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს. დამსწრეები დარწმუნდნენ, თუ როგორ გულწრფელად აინტერესებთ და უყვართ ბავშვებს თავიანთი სამშობლოს ისტორია, როგორი სიამოვნებით სწავლობენ მის მატთანეს.

VI და VI კლასების მოსწავლეებმა სცენაზე ნ. დუმბაძის „ხაზარულა“ და ნიკო ლორთქიფანიძის „დადიანის ასული და მათხოვარი“ წარმოადგინეს. VI კლასმა წარმოადგინა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ ნაწყვეტი „სტუმრები ლუარსაბის ოჯახში“ და ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „ენა, მამული, სარწმუნოება“.

VIII კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე: მოგონებანი ვალაკტიონზე.

გაკვეთილს საფუძველად დაედო ალექსანდრე მანაშკილის ციფი „შენ გაგარბელება მე-20 გვ.“



უკვადების ხარ ბინადარი“. რომელშიც შესუ-
ლია: ტერენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის,
იეთიმ გურჯის, არამ აკოფიანის, ვლადიმერ
პოლუტაევის და სხვების 347 ლექსი, მიძღვნილი
გალაკტიონისადმი და აგრეთვე ირაკლი აბაში-
ძის წიგნი „ყველა ვატარებთ საკუთარ ნი-
დაბს“ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი
20 ლექსით.

გაკვეთილზე გალაკტიონ ტაბიძისადმი მი-
ძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხა პო-
ეტმა ქალმა ზუმრუდ გოდერძიშვილმა. მან
ქართული ენის კაბინეტს აჩუქა თავისი ლე-
ქსების მეოთხე წიგნი „ვარ წვიმის ერთი
წვეთი“. კლასმა გამოიშუვა გაზეთი „გალაკტი-
ონი ხომ უკვდავია“.

გაკვეთილი დაამშვენა რუსუდან თუშიშვი-
ლის მიერ შესრულებულმა ქართველ კომპო-
ზიტორთა ნაწარმოებებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თეა კო-
ბახიძემ, ანა გამყრელიძემ და ნინო ჯავახიშვი-
ლმა, რომლებმაც წაიკითხეს ნოდარ დუმბაძის,
მირზა გელოვანის და ლადო ასათიანის ლე-
ქსები. მოსაწვევე ბარათები გააფორმა ზურა
არემიძემ.

VII კლასში ჩატარდა ლიტერატურული
დილა „სამშობლოსათვის თავდადებული გმი-
რები“.

საკუთნა მანძილზე მრავალრიცხოვან
მტერს ებრძოდა ქართველი ერი. გმირული
შარავანდელით არის შემოსილი ცოტნე დადი-
ანის, საჩინო ბარათაშვილის, ცხრა ძმა ხერხე-
ულიძის, სამასი არაგველის და სხვა მრავალი
უსახელო ვაჟკაცის სახელები.

მათ მხოლოდ ერთი მისანი ჰქონდათ: ერთი-
ანი, ძლიერი საქართველო.

მოსწავლეები ერთმანეთს უნაცვლებდნენ
თხრობას ცოტნე დადიანზე და მუხრან მაჭავა-
რიანის ლექსს ცოტნე დადიანზე, შოთა ნიშნი-
ანიძის ლექსს „თევდორე“ და იაკობ გოგება-
შვილის მოთხრობას „თევდორე კველთელი“.

მოსწავლეებმა იციან, რომ ერთიანი, ძლი-
ერი საქართველო დღესაც საქართველოში
მცხოვრები ყველა ადამიანის ძიზანია, სულე-
რითა და ერთგუებისაა იგი. იაკობ გოგება-
შვილის დედა-ენამ და ექსკურსიებმა სვეტი-
ცხოველში, ჯვარზე, ზედაზენზე, ბეთანიში,
რომლებსაც ატარებდნენ ისტორიის მასწა-
ვლებელი ქალბატონი ნონა კუხიანიძე და
კლასის დამრიგებელი ქ-ნ ინგა მუშლაური,
ბავშვებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსუ-
ლის სიყვარული კიდევ უფრო გაუძლიერეს.

სოხუმელმა ნატო ფიფია წაიკითხა აფხა-
ზეთისადმი მიძღვნილი ლექსი. ლიტერატუ-
რული დილის მონაწილეებმა გაიხსენეს ამ
კონფლიქტის დროს იქ დაღუპული მებრძო-
ლები. მათ შორის, ჩვენი სკოლის აღზრდილი,
რომელიც საქართველოს ერთიანობას შე-
ეწირა.

17 აპრილი

სკოლამ შეხვედრა მოუწყო მწერალ გო-
დერძი ჩიხელს. საღამოს ორგანიზატორი
გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატუ-
რის მასწავლებელი ქეთევან ძნელაძე. ერთი-

ანი, შეკრული კომპოზიცია წარმოადგინეს
მე-5ბ კლასისა და მე-10ა კლასის მოსწა-
ვლეებმა. საღამოს ალაძაზედა ფანდურზე
შესრულებული ქართული სიმღერები და ცე-
კები. მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს
შემოქმედს იმისათვის, რომ ერთი ჩვეულებ-
რივი დღე არაჩვეულებრივად გადააქცია.

VI კლასის მოსწავლეებმა თავიანთი
ინგილო თანატოლები გაიხსენეს, მოიაპტი-
ვეს სტუმრები საინგილოდან – სეილა და
ასრათ ომარაშვილები. გულისყურით მო-
ისმინეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კა-
ნდიდატის, ახალი ქართული ენის კათედრა-
სთან არსებული ტოპონიმური ცენტრის
თანამშრომლის, ბატონი ასრათის საუბარი
ძირძველი ქართული მიწის – საინგილოს



შესახებ, გაიზიარეს მათი ტკივილი და სიხა-
რული. მათთვის ყველა ინფორმაცია ამ კუ-
თხის შესახებ საინტერესო იყო, მათ უა-
მრავი რამ გაიკვს საინგილოზე, მაგრამ არა-
სოდეს უნახავთ ეს მშვენიერი, ისტორიული
თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი, და-
კარგული, დაჩაგრული და საჭირო ყურა-
დლების გარეშე დარჩენილი ნაწილი საქა-
რთველოსი.

სტუმრისა მოისმინეს, მაგრამ არც თა-
ვად დარჩენილან ვალში. განსაკუთრებული
სითბოთი წაიკითხეს ლექსები საინგილოზე,
მოეფერნენ და თანაუგრძნეს ინგილო თანა-
ტოლებს, რომელთაც ისტორიული უკუდმა-
რთობის გამო სამშობლო გვერდით მორჩე-
ნიათ, მაგრამ არც ენა დაუკარგავთ, არც
სარწმუნოება და სამშობლოდაც საქართვე-
ლოს თვლიან.

ყველაზე ლამაზი სანახავი იაკობ გოგე-
ბაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქა-
ლის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი იყო
– „მრავალგამიერით“, ლამაზი ქორწილით,
ხანჯლების ცეცხლითა და ქართული ცე-
კით. უყურებდა მაყურებელი პატარა მსა-
ხიობებს, რომელთაც ადფრთოვანებასთან
ერთად ნერვოზობაც ეტყობოდათ. მაგრამ
მქუხარე ტაშმა დაამშვიდა ისინი.

ბოლოს მოსწავლეებმა თავიანთი კლა-

სის სახელით (კლასში 33 მოსწავლეა) ოცე-
ცამეტ ინგილო თანატოლს სტუმრების სა-
შუალებით საჩუქრები გაუგზავნეს – „კე-
ფისტყაოსანი“ და სულხან-საბას ლექსი-
კონი, 33 რვეული და კალამი. უსურვეს მათ
წარმატება და უახგარო სიყვარული.

VI კლასში ჩატარდა ლიტერატურული
დილა „ლადო ასათიანის ცხოვრება და მო-
ღვაწეობა“. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლა-
დოს პირადი წერილები დედას, დას, მე-
უღლეს, ძმას და სიღვდრს. წაიკითხეს აგრე-
თვე ლექსები, ისაუბრეს ლადოს ბავშვო-
ბაზე, სტუდენტობასა და სიცოცხლის ბოლო
წლებზე.

„მზიანი გულის მწერალი“ უწოდეს VIII
კლასელებმა ნოდარ დუმბაძის მოთხრობე-
ბსა და რომანების მიხედვით დადგმულ ინსცე-
ნირებას და მართლაც მზითა და სითბოთი
აავსეს მაყურებელიც და საკუთარი თავიც.

„განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გო-
ნებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი
სურვილები“, მიხეილ ჯავახიშვილის ეს
ძენება ედო საფუძვლად VIII კლასში ჩა-
ტარებულ ღია გაკვეთილს – „ეშმაკის ქვა“. სა-
მწუხაროდ, მოსწავლეები ვერსად გაექცნენ
იმ ჭეშმარიტებას, რომ სოფოც კაცთა მო-
დგმის შვილია და ისეთივე ცოდვილი, რო-
გორიც მრავალი ამქვეყნად.

კვირულის დღეებში X კლასმა სა-
ინტერესო ღონისძიება შემოგვთავაზა. „რა
არის ისტორია და რა არის ეპისტოლე“. ეს
ვიქტორინა-კონკურსი ამავე კლასის სამი გუ-
ნდის: „რანდების“, „ჯვაროსნებისა“ და
„ელიტას“ შეჯიბრება იყო ისტორიული წყა-
როების საუკეთესო წარმოდგენასა და ინტე-
რაპრეტაციაში.

„თამარის კარზე რუქნადინის ელჩობა“,
„ვახტანგ გორგასლისა და მიქაელის შეხვე-
დრა“. ეს და სხვა ისტორიული ფაქტები
არაჩვეულებრივად იქნა წარმოდგენილი. სა-
ინტერესო იყო მუსიკალური კონკურსი: „შენ
ხარ ვენახი“, „შაღლეგო“, „აჭარული სალა-
ლობი“. დარბაზი ადფრთოვანებით ამღერდა
გუნდის წევრებთან ერთად. X კლასის ისტო-
რიის პედაგოგი მაია ნიკოლაიშვილი ძალზე
კმაყოფილი დარჩა თავისი აღსაზრდელე-
ბით. და აი, დადგა გამარჯვებულის გამო-
ვლენის მომენტო.

ვიურის თავმჯდომარემ, ქართული ენისა
და ლიტერატურის პედაგოგმა, ჰუმანიტარული
კათედრის ხელმძღვანელმა ნუნუ მილორავამ
გამარჯვება გუნდ „ელიტას“ მიაკუთვნა. სა-
უკეთესო გუნდის კაპიტანი გახდა სოფო კო-
ხრიძე, საუკეთესო მოთამაშე – ნიკა თო-
ხვაძე, საუკეთესო მუსიკალურ ნომრად აღი-
არეს – გენრიეტა ნინუას გამოსვლა, მაყურე-
ბელთა სიმპათიის პრიზი კი გიორგი მესხს
ვრგო.

დათო ჭიაურელი

დღესდღეობით დათოს იურისტობა, უფრო კონკრეტულად კი პროკურორობა უნდა და რომ ჰკითხოთ, სკოლის დამთავრების შემდეგ ან უფრო ადრეც კი, პირდაპირ იქ უნდა გააგრძელოს სწავლა, სადაც დეიდამისი სწავლობს - ასპირანტურაში, იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ ვინ იცის, საქმიანობის რომელ სფეროს აირჩევს, როცა გაიზრდება და ყველაფერს გაიცნობიერებს. ჯერჯერობით კი მისი ნიჭიერება, გონიერება და დიდი ცოდნის წადილი იმის საფუძველს და იმედს იძლევა, რომ რომელი დარგიც უნდა აირჩიოს სამოღვაწეოდ, ყველაგან წარმატებებს მიაღწევს.



დავით ჭიაურელი საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლის მესამე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა და ყველა საგანს ადვილად, ერთნაირი ხალისითა და ინტერესით სწავლობს. დათოს ძალიან უყვარს პოეზია, ოთხი წლისამ ზეპირად იცოდა გიორგი ლეონიძის „ფიჭაღის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“, სხვაც ბევრი ლექსი, დღეს ხომ უსასრულოდ შეუძლია ივითხოს საყვარელი ლექსები და ძნელი დასადგენია, ვინ უფრო მეტ სიამოვნებას იღებს ამ დროს - თვითონ დათო, თუ ისინი, ვინც მას უსმენენ. დათო ბიჭი მუსიკაზეც დადის, ფორტეპიანოს კლასში და აქაც გამორჩეული მოსწავლეა. მუსიკალური ნიჭი, რიტმის საუკეთესო შეგრძნება და ცოცხალი ბუნება ცეკვაშიც ეხმარება. დათო ცეკვავს კიდევ, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის წევრია და ისეთ ცეცხლს დაანთებს ხოლმე, რომ როცა რომელიმე ცეკვას ასრულებს, ყველა აღტაცებაში მოჰყავს. ფეხბურთიც ძალიან უყვარს და ალბათ სულ მალე ფეხბურთზეც დაიწყებს სიარულს. და მაინც დათოს ყველაზე სერიოზული გატაცება ჭადრაკია. სულ პატარა იყო, დაფაზე პირველი სვლა რომ გააკეთა, მერე კი წარმატებას წარმატება მოჰყვა და უკვე დღეს პატარა საგარეჯოელ მოჭადრაკეს ნიჭიერების და მზარდი ოსტატობის დამადასტურებელი პრიზებისა თუ სიგელ-დიპლომების არცთუ პატარა კოლექცია აქვს: II ადგილი და მოქალაქეთა კავშირის პრიზი თბილისში, რეინიგზელთა სახლში ჩატარებულ ტურნირზე, ქობულეთში გამართული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი, სკოლის, რაიონის თუ ქვეყნის მასშტაბით გამართულ ტურნირებში მოპოვებული დიპლომები, სიგელები, სამახსოვრო საჩუქრები. თუმცა დათო ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს სკოლაშიც, სპორტშიც, ხელოვნებაშიც, მაგრამ ახლავე ეტყობა, რომ მისი მომდევნო ნაბიჯები კიდევ უფრო მტკიცე და წარმატებული იქნება. ეს პატარა ბიჭი თავისი შინაგანი სამყაროთი, აზროვნებით, ბუნებით ახლავე ძალიან საინტერესო, ნათელი ადამიანია და მის შემხედვარეთ იმედი უნდა გვექონდეს, რომ დათო ჭიაურელის სახით ისეთი პიროვნება იზრდება, რომ ქვეყანას, ხალხს შეეძლება ჭეშმარიტ მამულიშვილად იგულოს იგი.

ახალგაზრდობას

გახსოვდეთ, თქვენი ცხოვრების გზაზე თუ ბოროტებას ფარავს მანდილი, შემართეთ სიტყვა ხმალივით ბასრი,

ძირში მოუსპეთ გულისწადილი. ნუ გაკრთობთ დელგმა! როცა შეხედებით

სიბოროტის და სიკეთის ჭიდილს, მაშინვე გული გაიფოლადეთ, თორემ ჯაბანი ბრძოლიდან მირბის. მიზნისთვის ბრძოლა ძალზე ძნელია, უნდა გაუძლოთ მრავალ ქარშხალს, მთის ჩანჩქერავით დაუდგრომელნო, წყაროს ლიკლიკად ისმის თქვენი ხმა!

ჩვენი ცხოვრების დიდი მიზნების, ახდენილ ფიქრთა თქვენ ხართ სიმალლე,

სიკეთისა და მძლე სიყვარულის განმტკიცებაზე მუდამ ინაღვლეო. ნათელი ზეცა, ეს მთა-მინდორი, ეს ბაღ-ვენახი ყველა თქვენი, შექმენ ახალი, იცავდე ძველსაც, რაც ბოროტებას გადარჩენია. სჭეკეთ მამულის საგალობელი, არ შეუშინდეთ დღევანდელს ავდრიანს, მოსაგაღს მხოლოდ მუდამ ის იმის, ვინც შეეგბება საქმეს ადრიან. თქვენი სამშობლოს მიწა გიყვარდეთ,

თქვენი კახეთი, ქართლი, გურია... და თქვით ამაყად: - ჩვენი ქვეყანა კოხტად შეკრული თაიგულია!

ვიკტორინა-კონკურსი „ქკუს კოლოფის“

არნაწილთა საყურადღაოდ ვიკტორინა-კონკურსის შედეგები და გამარჯვებულთა გვარები გამოქვეყნდება „ნაბაღულის“ სექტემბრის ნომერში. დაახლოებით სექტემბრის შუა რიცხვებში ჩვენ დაგუკავშირდებით ყველა მონაწილეს და მოგაწვდით ინფორმაციას რედაქციაში შეხვედრის თაობაზე.



თბილისის საერო საშუალო სკოლა-ლიცეუმ „ოახისის“ ამ ჩვიდმეტმა ყმაწვილმა უკვე ოთხი კლასი დაამთავრა, სწავლის პირველი საფეხური გაიარა და მომავალი სასწავლო წლიდან უკვე მეორე საფეხურზე შედგამს ფეხს. ცხადია, უხარიათ, მაგრამ სიხარულს ოდნავი სევდაც ახლავს, ისინი ხომ პირველ მასწავლებელს ემშვიდობებიან, ემშვიდობებიან ადამიანს, რომელმაც პირველი ნაბიჯები გადაადგმევინა ცოდნის ტაძარში, ასწავლა ანა-ბანა, აზიარა სიკეთეს, ასწავლა სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება. ქალბატონ მზევინარ ჩიჩუასაც გული სწყდება, მასაც უჭირს ამ თვალმახარა გოგო-ბიჭებთან განშორება, თუმცა თავს იმით იმშვიდებს, რომ არაფერი დაუკლავია მათთვის, უმურველად გაიღო მათთვის ცოდნაც, გულის სითბოც, სიკეთეც და სიყვარულიც.



მიხარია, რომ მეხუთე კლასში გადავიდეთ, მაგრამ მზევინარ მასწავლებელთან განშორება მიჭირს, რადგან ძალიან მიყვარს. დიდხანს იცოცხლეთ, მასწავლებლო და კიდევ ბევრი თათბა აღზარდეთ!
ირაკლი ადგიშვილი

ყოველთვის სიამოვნებით და ყურადღებით ვისმენდი მზევინარ მასწავლებლის გაკეთილებს. გემშვიდობებით, საყვარელო მასწავლებლო, მაგრამ მაინც ხომ ყოველდღე გნახავთ ხოლმე სკოლაში. მე მინდა, რომ ჩემი გვეროდეთ, თქვენს მოლოდინს აუცილებლად გამართლებ.



ივანე ახვლედიანი



სასწავლო წელი მიიწურა, ჩვენ წინ მივიწევთ, მეხუთე კლასში გადავიდეთ. თან მიგვეყვება თბილი მოგონებები მზია მასწავლებელზე. მასწავლებლო, თქვენი ღვაწლი აუცილებლად დაფასდება.

ანი აღბაზიშვილი

მწელი წარმოსადგენია, რომ მზია მასწავლებლის გაკეთილებს აღარ მოვისმენთ. მე ძალიან მიყვარდა მისი საინტერესო და ხალისიანი გაკეთილებები. ჩემი პირველი მასწავლებელი არასოდეს დამაყენებდა.



ვიორგი ბერეჩიძე



როგორ ძალიან გაიბრინა ამ ოთხმა წელმა, ახლა ჩვენ უკვე დიდები ვართ, მიხარია, მაგრამ თან გული მწყდება, რომ მეხუთე კლასში მზევინარ მასწავლებელი აღარ გვასწავლის. არა უშავს, სკოლაში ხომ მაინც შევხვდები ხოლმე.

თამარ გელაშვილი

ჩემთვის მზევინარ მასწავლებელი ყველაზე კეთილი, ყველაზე კარგია. მზია მასწავლებლო, ძალიან მინდა, რომ მეხუთე კლასშიც თქვენ გვასწავლოთ, მაგრამ თურმე არ შეიძლება. ვეცდები, ისეთი ადამიანი ვიყო, როგორც თქვენ გინდათ.



ბექა დიასამიძე



მზევინარ მასწავლებელი იშვიათად გვიბრუნდებოდა და როცა გვიბრუნდებოდა, მაშინაც ვგრძობდით სითბოს და სიყვარულს. ის ხომ იმიტომ გვიბრუნდებოდა, რომ უნდოდა კარგად გვესწავლა, ზრდილობიანები, კეთილები და წესიერები ვყოფილიყავით. მე ყოველთვის შემახსოვრება ჩემი პირველი მასწავლებელი.

ირაკლი კევერაშვილი

დიდი მადლობა, მზია მასწავლებლო იმისათვის, რაც გვასწავლეთ. თქვენ ჩვენი პირველი მასწავლებელი იყავით და ძალიან ბევრი ცოდნა მოგვეცით, ეს ყველაფერი მეხუთე კლასშიც გამოვადგება და მერეც.



ირინა კევერაშვილი



გვევოლება

რამდენი რამე ვისწავლე, რამდენი რამე გავიგე მზია მასწავლებლის წყალობით. მიხარია, რომ მეხუთე კლასში გადავიდი, გავიზარდე, ოღონდ დასანანია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მზია მასწავლებელი აღარ გვევოლება.

ვიორგი ლალუაშვილი

ჩვენ ძალიან შეგვიყვით, მზევინარ მასწავლებლო და მე გული მწყდება, რომ უნდა დაგემშვიდობოთ. მაგრამ თქვენ ხომ ჩვენი პირველი მასწავლებელი იყავით და ამიტომ მთელი სიცოცხლე გემახსოვრებით.

ვახტანგ ლალუაშვილი



ვლადიმერ მეტრეველი

ძალიან მიყვარს ჩემი ლიცეუმი, განსაკუთრებით მზია მასწავლებელი. მისი დიმილი და სიკეთე არასდროს დამავიწყდება.

ვლადიმერ მეტრეველი

რა ცუდია, რომ საყვარელ მასწავლებელს უნდა დაგშორდეთ. მასწავლებლო, დაგვაჯერეთ, ჩვენ ყოველთვის სიყვარულით გაგისხენებთ ხოლმე.

მარიამ ნაგროზაშვილი



ჩვენ გავიზარდეთ, უკვე დიდები ვართ, მეხუთე კლასში გადავიდეთ. რამდენი რამე ვისწავლეთ ამ ოთხ წელიწადში და ეს ყველაფერი მზევინარ მასწავლებლის დამსახურებაა. მე ყოველთვის შევყვარება ჩემი მასწავლებელი.



ლაურა ნიკურაძე



ლევან მჭედველი

მზია მასწავლებლო, ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით და მე და ჩემს ამხანაგებს თან მიგვაქვს ცოდნა, სიყვარული, სიკეთე - ყველაფერი, რასაც თქვენ გვასწავლიდით, მინდა იცოდეთ, რომ ყოველთვის შევყვარებით.

თორნიკე ხვილაძე

მიხარია, რომ მეხუთე კლასის მოსწავლე გახვდები, მაგრამ გულიც მტკიავს, იმიტომ, რომ მზევინარ მასწავლებელი გვტოვებს. მან იმდენი რამე გვასწავლა, რომ ათასი მადლობაც რომ გადაუხადოთ, მაინც ცოტა იქნება.



ანი შარაშენიძე



ვიორგი შატკაშვილი

ძალიან მოგვენატრებით, მზევინარ მასწავლებლო, მოგვენატრება თქვენი სითბო და სიყვარული. იმას, რაც თქვენ გვასწავლეთ, ახალ ცოდნას მივუმატებთ და ვეცდებით ისეთები გავიზარდოთ, თქვენ რომ გინდათ. დიდი მადლობა.

ვიორგი შატკაშვილი

ვემშვიდობებით მზია მასწავლებელს და თან მიგვაქვს მის გაკეთილებზე შექმნილი ცოდნა, რომელიც მერე გაგვინათებს გზას. მზია მასწავლებლო, ძალიან მიყვარხართ და მინდა, რომ ყოველთვის გალიმებული იყოთ.



ნინო ციციშვილი

რამშვიდობიან ჰიროკო მასწავლებლებს



„მამინ ლხინი ამო არის, რა გარდისდის კაცი ჭირსა“.

(შოთა რუსთაველი)

როდესაც ევამ აცდუნა ადამი, ღმერთმა ადამიანთა მოდგმა დასწყევლა და უთხრა: „თქვენი ოფლით და შრომით გაიტანეთ წუთისოფელიო“. აქედან მოყოლებული, ადამიანს მუდმივად უხდება დიდი თუ მცირე პრობლემის მოგვარება, იგი მუდამუდამ დგება არჩევანის წინაშე, ხან შეცდომათა ნაკვალევზე მიედინება ცხოვრება, ხან კიდეც სწორი ნაბიჯებით მიიწევს წინ-წინ. მაგრამ ისიც ნათქვამია: „თუ ცუდი არ არის, კარგის აღქმა გაგვიჭირდებაო“ და მართლაც ადამიანი როდესაც თავის „ჭირს“ მოიშორებს, დაჯდება, შვებით ამოისუნთქავს, ჭიქა ღვინოს ასწევს, ლხინს უფრო შეირგებს და დაათვასებს. ადამიანი ცხოვრების მძიმე ჭაპანს ეწევა, მაგრამ დასვენების ჟამს კარგადაც მოილხენს ხოლმე.

უშორეს წარსულში, როდესაც ქართველი მებრძოლები საომრად მიდიოდნენ, გამარჯვების შემთხვევაში უფლის მიმართ სამადლობლო ლხინი იმართებოდა და ისმოდა „მრავალჟამიერი“. მართლაც: „მამინ ლხინი ამო არის, რა გარდისდის კაცი ჭირსა“.

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო საქართველოა. მრავალ ქართველს გადაუვლია მის თავზე. საქართველოს ოდითგანვე თავს ესხმოდა უამრავი მტერი: მონღოლები, სპარსელები, თურქ-სელჩუკები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მუდამ ამაყად იდგა. ქართველი კაცი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა სამშობლოს. იყვნენ მოღალატეებიც, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს დანაწევრებას. აკაკი წერეთელი ამბობდა: კრუხი საქართველოა, წიწილები მისი კუთხეები, ქორი კი მტერი, რომელიც მუდამ ცდილობს წიწილების მოტაცებას, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ძალიან ლამაზია ჩემი სამშობლო, ყოველ მაღლობზე ციხე-კოშკია, ისინი ამაყად გადმოგვიყურებენ და გვახსენებენ ჩვენს სამშობლოს უდიდეს წარსულს.

თითოეული ქართველის ვალია უყვარდეს სამშობლო და გააყეთოს ყველაფერი მისი კეთილდღეობისთვის.

მარიტა სორდია,
თბილისის 128-ე საშუალო სკოლა, Vb კლასი.



ღღეები და ბეერი სხვა.
გზა დაკუთმოთ გაზაფხულს!“

ანი სუბელიანი,
128-ე საშუალო სკოლა, Vb კლასი



ლევან ჯოჯუა,
სკოლა „სარკმელი“, IV კლასი.

წვიმა

წვიმა ციდან სხვადასხვა სახით გვევლინება, ზოგჯერ შხაპუნა წვიმა მოდის, ზოგჯერ უუჟუნა, ზოგჯერ კი კოკისპირული. მე უუჟუნა წვიმა მიყვარს, მოწინწკლული არემარე კარგ ხასიათზე მაყენებს. გათენებისას, როდესაც წინწკლავს და წვიმა ჩემს ფანჯარას უკაკუნებს, ასე მგონია, ჩურჩულთ მიმღერის: ღო, რე, მი, ფა...

წვიმა მართლაც საოცარი ბუნებრივი მოვლენაა. იგი ზრდის მცენარეებს და აცოცხლებს მათ, მაგრამ მას მარტო კარგი როდი მოაქვს, წვიმის საშუალებით შეიძლება ადიდდეს ტბები, მდინარეები და ზღვები, შემდეგ კი ამას უამრავი სტიქიური უბედურება მოჰყვება.



ელენე ჩხეიძე,
თბილისის 128-ე საშუალო სკოლა, Vb კლასი



ჩინეთი

შეიძლება ბავშვები ჩინური სათამაშოების გარეშე ღარჩნენ

მთელი მსოფლიოს სათამაშოთა სამყაროს 30% ჩინეთში მზადდება. კომპანია „ავინფალ ინდასტრი-



ზის“ კუთვნილი უდიდესი სათამაშოების ფაბრიკის ნაწარმი აშშ-ში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდი მოწონებით სარგებლობს. მაგრამ ჩინეთში გავრცელებულმა ატიპური პნევმონიის ეპიდემიამ სათამაშოების მსოფლიო ბაზარსაც შეუქმნა საფრთხე. თუ ეფექტური ღონისძიებები არ გატარდა და ეპიდემია არ აღიკვეთა, აიკრძალება ჩინეთიდან ყოველგვარი საქონლის და მათ შორის, სათამაშოების ექსპორტი.

აუუ

კალლი პატარავს ანბანის სწავლაში მხმარება

ფილადელფიის ზოგიერთი სკოლის დაწყებით



კლასებში საგანგებოდ იწვევენ ამ სიმპათიურ ძაღლს, კრისტის. პატარები სიამოვნებით უკითხავენ მას ხმამაღლა წიგნებს და ასე უფრო მალე და ადვილად სწავლობენ წერაკითხვას.

მსოფლიო კიდით კიდევდა

ტაილანდი

ბანკოტი საილოებისთვის

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქვეყანაში სპილოებს დიდ პატივს სცემენ. აქ ამ ცხოველებს საკუთარი დღესასწაულიც კი აქვთ. სპილოს დღი-



სადმი მიძღვნილ საზეიმო ბანკეტზე ტაილანდის ყველა კუთხიდან 70 ნაცრისფერი გიგანტი ჩამოვიდა.

ჯაგონი

ატმოსტატის ნაცვლად ციხე

სკოლის გამოსაშვები საღამოს ნაცვლად ზამბიის ქალაქ ჩომას ერთ-ერთი სკოლის ორი უფროსკლასელი ციხეში აღმოჩნდა. მე-12 კლასის მოსწავლეებს კლემენტ ბანიოლის და მოხეს ლუჩემბეს საგამოცდო ბილეთების მოპარვისა და კითხვებზე პასუხების წინასწარ მომზადების ბრალდება წაუყენეს. ბიჭებს დანაშაულზე მაშინ წაასწრეს, როდესაც ისინი მოპარული ბილეთების ქსეროასლებს იღებდნენ. თუმცა სასამართლო პროცესზე „ბოროტმოქმედები“ ირწმუნებოდნენ, საგამოცდო ბილეთები შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში, მათ არ დაუჯერეს და თითოეულს ცხრა-ცხრა თვის პატიმრობა და გამასწორებელი სამუშაოები მიუსაჯეს.



ოფომსერი



უიქრები უშის ჩაქრობის უედეკ

(სატირა)

თბილისში ამჟამად ასეთი ანეკდოტი დადის: „ბავშვი იბადება და კითხულობს მეთუ ბლოკი თუ ჩაირთო?“

ტელევიზიით გადმოცემულ ახალი ამბების მიმოხილვაში უპირველეს ყოვლისა იმას გაიგებ, რომ მეცხრე ბლოკი შეაკეთეს, მაგრამ მეთუში ავარიული გათიშვაა, ან პირიქით. ტრანსპორტში ისმის საუბარი მხოლოდ იმაზე, რომ თბილსრეს აირი აღარ მიეწოდება და ახლა მხოლოდ სომხეთის იმეღზე უნდა ვიყოთ. ასეთი უსუსურობა კი თურმე იმის გამოა, რომ საკუთარი ენერგორესურსები არ გაგვანჩია – ჩვენ კი პირიქით გვარწმუნებდნენ – და რაცა გვაქვს, ჩვენი ხასიათის გამო იმის დაზოგვას ვერ ვახერხებთ. გამოდის, რომ თურმე ისეთ ხრიოკ ადგილას ცვხოვრობთ, რომ მდინარეები შუა ზაფხულში შრება, ზამთარში კი ბედნიერი ჩინეთისგან განსხვავებით, მათ წყალუხვობა არ ახასიათებს. ჩვენში არც შიდა წყლები-გეიზერები იფრქვევიან, როგორც დალოცივილ ისლანდიაში, არც საკუთარი ნავთობი გვაქვს, როგორც კუვეიტს, რომ ერთი ხელის მოსმით მილიონები მოვხვეტოთ. მართალია, ნავთობსადენი უკვე გაყვანილია, მაგრამ იმდენად აბინძურებს ზღვის სანაპიროს, რომ მომავალში შეიძლება ვერც ჩაფიქრებული ტურიზმი განხორციელდეს... გონიერი იდეების წამოყენებაში რომ მაგრები ვართ, ამას წყალი არ გაუვა!

აბრეშუმის საკუთარ წარმოებაზე რომ ხელი ჩავიქნიეთ ეს არაფერი, სამაგიეროდ, ძველი „აბრეშუმის გზის“ აღდგენაზე ვფიქრობთ. ამ ეტაპზე გადასაწყვეტი ისლა გვრჩება, თუ როგორ, რა საშუალებით შემოვზიდოთ ქალაქის ქარვასლებში ჩინური აბრეშუმი – აქლემებით თუ ყველგანმავლებით? თათქარიძისა არ იყოს: „ბოზბაში თუ ჩიხითმა?“ გაგონილი მაქვს, რომ წინა ეპოქის ვაჭრების გზა ყარა-ყუმის და გობის უდაბნოებზე გადიოდა და ნეტავ, როგორ ახერხებდნენ აუტანელი სიცხის პირობებში უდაბნოების გადალახვას. იმ ვაჭრებმა ფულის ყადრი კი იცოდნენ, მაგრამ იმაზე არასდროს უფიქრიათ, რამდენი მზის ენერგია იყარგება ტყუილუბრალოდ იმ უზარმაზარ ქვიშიან სივრცეებში. იქნებ ახლა მაინც გვეფიქრა, როგორ გადაგვესროლა და მოგვეხმარა ეს ენერგია სიცხის სარტყელში მყოფ ადამიანებს? რამდენ თანხას მოვიპოვებდით?!

ერთმა ჩემმა საზრიანმა მეგობარმა ასეთ ტექნიკურ გადაწყვეტილებას მიავნო – შეიძლება გავიყვანოთ ახალი ენერგეტიკული გზა, დაეუშვათ, ყარაყუმიდან საქართველოში, რომელიც დაახლოებით იმ პრინციპით იმუშავებდა, როგორითაც „ჯეოსელის“ ან „მაგთის“ კავშირგაბმულობის მუშაობა ხერხდება. თუ თანამგზავრებზე უშველებელი სფეროსებრი სარკეები დამონტაჟდებოდა და თანამგზავრებშიც დედამიწის სხვადასხვა ადგილებში ჩამოიციდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა ანარეკლი ენერგიის თანმიმდევრულად გადაზენა დანიშნულების ადგილზე...

ფიქრობ, ეს მოსაზრება ჭკუას მოკლებული არ არის და ვიმედოვნებ, რომ ამ იდეის ამოქმედების საკითხი თავის დროზე მთავრობის დონეზე იქნება დაყენებული. მთავარია, დროზე მოვკიდოთ საქმეს ხელი, თორემ შეიძლება სხვამ დაგვასწროს. ამის მაგალითი ხომ უკვე არსებობს – რუსები ჩაებლან უჭნენ გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გზების ათვისების იდეას და აპირებენ აღადგინონ ძველი საეაჭრო გზა „ვარიანგებიდან საბერძნეთში“. აფსუს, თავის დროზე რა დიდი შეცდომა დაუშვეს, ალიასკა რომ არ გაეყიდათ, თან ასე იაფად, ამერიკამდე უმოკლესი და პირდაპირი გზა ექნებოდათ. ამ საჭირობოროტო საკითხზე ფიქრში, პრობლემების გადასაწყვეტი გზების ძიებაში გეოგრაფიის ცოდნის დონე ხომ მაინც ავიმადლე და ესეც კარგია!

დენის ავალიშვილი,

ფიზიკა-მათემატიკური №42 საშუალო სკოლის IX 2 კლასის მოსწავლე.

ირინა ხაჩატუროვა თბილისის 136-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეა. თუმცა რუსულ სკოლაში სწავლობს, ირინამ ქართულიც კარგად იცის, ხომ ზედავთ, პატარა ხალისიანი ლექსიც კი შეთხზა ქართულად. ირინა ქართული ხალხური ცეკვების სტუდიაშიც დადის და სიამოვნებით სწავლობს „ქართულს“, „განდაგანას“ თუ „ხევსურულს“. ვარდა ამისა, იგი ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლეს არის. ორი წლის წინ ჩვენ უკვე ვიამბეთ ამ ნიჭიერ გოგონაზე, მაგრამ მაშინ ირინას ნახატებზე იყო ლაპარაკი. მას შემდეგ ნორჩმა მხატვარმა კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია, ახლახან კი თბილისის ჟურნალისტთა სახლში ირინა ხაჩატუროვას ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.



მელაკუდა

ჩემო კარგო მელაკუდა,
რა ლამაზი ხარო,
მატყუარა მელაკუდა,
რა პრანჭია ხარო!
მელაკუდა მატყუარა,
საქათმეში მარდად
შეიპარე და ქათმები
მოიპარე რადა?
მატყუარა მელაკუდა,
აღარ მიყვარხარო,
იმიტომ, რომ საქათმეში
ხშირად დადიხარო.



ოფომსერი

თაიგული და პოსტ-კარტები

თაიგულის მხატვრული სახე და პრაქტიკული გამოყენება დიდი ხნის წინათ სიცილიაში ჩაისახა. სიცილიელი ქალიშვილები თაიგულით ხელში ზეიმობდნენ ე.წ. პროზერბინების დღესასწაულს.

XIV-XV საუკუნეებში თაიგული ევროპის კონტინენტზეც გამოჩნდა. საფრანგეთში პირველად XVIII საუკუნეში შემოიღეს თაიგული - ყვავილების თავისებური მჭიდრო შეკვრა. ფერთა შესამები ერთი ტონის ყვავილებს დაყვებოდა გარშემო შემოწყობილი საწინააღმდეგო ტონის ყვავილები, რომლებსაც სიფრიფანა ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული. ასეთი თაიგულის სილამაზე გადატვირთულობის გამო ბოლომდე ვერ აღიშქებოდა.

საქართველოში ყვავილის სიყვარულისა და თაიგულის შექმნის ტრადიცია ძველთაგანვე მოდის. ყვავილი ამშვენებდა ქართველი გლეხკაცის სახლ-კარს, საზოგადოებასა და ხალხის თავშეყრის ადგილებში მანდილოსნები მკერდზე ყვავილების პატარა კონას იმაგრებდნენ. ლაზთის გარდა, პაწაწინა ყვავილათა შეკვრის ერთგვარი შინაარსიც ჰქონდა, სამოსზე სწორად დამაგრებული თაიგული ოჯახსმოვიდებულ პიროვნებაზე მეტყველებდა. ქალი, რომელიც ვაჟის მიერ დანიშნული იყო, თაიგულს ირიბად იმაგრებდა, ხოლო ქალიშვილს შებრუნებული სახით ჰქონდა დამაგრებული.

თანამედროვე ბინაში ძალზე ლამაზად გამოიყურება გამწიღი ლარნაკში ან ფიალაში ჩადგმული თითო-ორთა ყვავილი და დეკორატიული ტოტი, ეს ააპონური თაიგურის არანაირი რესის (მხატვრული განლაგების) ერთ-ერთი სახეა, რომელსაც „იკებანას“ უწოდებენ. ეს ხელოვნება XIV საუკუნეში ჩაისახა საეკლესიო მორთულობის სახით, შემდეგ კი საყოფაცხოვრებო საქმიანობაში ფართოდ გავრცელდა და ააპონელის ცხოვრებაში აუცილებელი ადგილი დაიკვიდრა. ყოველი ააპონელის ოჯახში არსებობს ტრადიცია: მცირეწლოვანი გოგონა ბებიის ან დედის ხელმძღვანელობით ეუფლება თაიგულის შედგენას და იკებანას საფუძვლებს. საგნის სახით იკებანას სწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც იქნა შემოღებული. ამ ხელოვნების ძირითადი კანონია: ორი-სამი ყვავილისა და დეკორატიული ტოტის ურთიერთშეხამება. ზოგჯერ კამაშა ფოთლებთან ათავსებენ ლამაზ ნაყოფებს, ნაირფერ ბალახებს, დაგროვილ ფეხებს და ა.შ.

თაიგულის შედგენისას უნდა ვითვალისწინოთ შემდეგი კანონები და წესები:

თაიგულში ყვავილების რაოდენობა დამოკიდებულია საერთო კომპოზიციებზე. ყვავილმა, ტოტმა და თაიგულის სხვა კომპონენტებმა დეკორატიული ღირსებით (ფერი, ფორმა, აღნაგობა) ერთმანეთი არ უნდა „გამოაძევიონ“. მჭიდროდ ჩადგმული ყვავილები უღამაზოა და ყვავილების ბუნებას არ ეფარდება. თაიგული თაიგუსუფლად განლაგებული ყვავილებისაგან უნდა შედგებოდეს.

ლარნაკის შეფერილობა სასურველია თაიგულის ფერის თანხვედრილი იყოს. ფერთა დამთხვევა (ლარნაკი და ყვავილი) ან გარდამავალი ფერების არსებობა თაიგულს უფრო მოხდენილს ხდის. თუ ეს წესი გაეცემა, ნეიტრალური ფერის (თეთრი, შავი და რუხი) ლარნაკი უნდა შევარჩიოთ, ხმელი ტოტებისა და ყვავილებისათვის შედარებით კამაშა და მჭახე ფერისა ავიბა ჭურჭელი.

პროპორცია. თაიგულსა და ლარნაკს შორის კანონზომიერება მყარდება, როდესაც ყვავილი ერთნახევარჯერ მაღალია ლარნაკზე და თაიგულის სიგანე ერთნახევარჯერ ფართოა ჭურჭელზე. თეთრი, ან ბაცი ყვავილები 2-3-ჯერ მაღალი უნდა იყოს ჭურჭელზე, ხოლო „მძიმე“ და მუქი ყვავილები ლარნაკის ყელს ქვემოთ თავსდება.

რიტმი. ეს ნიშან-თვისება თაიგულის ხარისხს უნდა ასახავდეს. საუკეთესო რიტმი თაიგულში ფორმისა და ფერის მორიგეობას უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, თაიგულის ქვედა ნაწილში განლაგებული დიდი ყვავილები წერილი ყვავილებით უნდა მთავრდებოდეს. ფერის მხრივ კი მერთალიდან - კამაშამდე, ბაციდან - მუქ ტონამდე, უხეშიდან - მსუბუქამდე...

მასშტაბი. ეს წესი გულისხმობს თაიგულისა და ოთახის კანონზომიერ თანაფარდობას ან ყვავილისა - ჭურჭელთან. ლამაზ თაიგულში მასშტაბი ყოველთვის დაცული უნდა იყოს.

ფერის პარმონია. თაიგულში

ფერი აუცილებელ კომპონენტაგანია. კარგია, როდესაც ფონი მუქი მწვანე ტოტებისაგან შედგება და, წინა პლანზე შედარებით ბაცი და კამაშა ფერები განლაგებული. თაიგული რომ ლამაზი გამოვიდეს, უპირველესად, ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი დამხმარე კომპონენტების შეფარდებას. უნდა დავადგინოთ ცალკეული ყვავილის შეფერადების ტონი და მათი ურთიერთშეხამების კანონზომიერება.

ზოგიერთი დეკორატიული ყვავილის ფერს ერთგვარ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, თეთრი ფერი ნიშნავს - უღამაშაულობას, წითელი - სიყვარულს, მწვანე - იმედს, ყვითელი - ეჭვიანობას, ლურჯი - ერთგულებას.

თაიგულის ხელოვნებაში და დეკორატიულ მებაღეობაში აღიარებულია სამი ძირითადი ფერი: ყვითელი, წითელი და ლურჯი.

დანარჩენი ფერები და გარდამავალი ტონები მიღებულია მათი ურთიერთშეხამებით.

თაიგულის შედგენისას უნდა ვითვალისწინოთ ფერის სწორი შეხამება. კარგად ეხამება: წითელი - მწვანეს, ლურჯი - წითელს და ყვითელს, ნარინჯისფერი - ლურჯს, ყვითელი - ყვეისფერს. სასურველი არ არის ფერების შეთანაწყობა, მაგალითად: წითელი

- ნარინჯისფერი, იისფერი - წითელი. თაიგულში მჭახე ფერის უგულვებელსაყოფად საჭიროა გამოვიყენოთ ე.წ. ნეიტრალური ფერები: თეთრი, შავი და მწვანე.

თაიგულის არანაირებისა და ყვავილწნულის კომპოზიციის შესაქმნელად აუცილებელია ვიცოდეთ ყვავილების დამახასიათებელი ფერი და შესაბამისი ტონის შეჩვენება, თუ რომელი ფერის ყვავილები გამოვიყენოთ.

ყვავილების მუდმივი ყურადღება ესაჭიროება. წყალი ყოველდღიურად უნდა გამოვიუცვალოთ და ჭურჭელი სუფთად უნდა იყოს გარეცხილი. საყვავილე ღეროს ბოლო ნაწილები ყოველდღიურად უნდა შევაკვეციოთ. ასე წყალი უფრო აქტიურად აღწევს ქსოვი-


ლებში. რაც შეეხება ლამაზად მოყვავილე ბუჩქებს (იასამანი, უცვეთელა, ჟასმინი), გირჩევთ, წყალში ჩაწყობამდე საყვავილე ღერო 5 სმ სიმაღლემდე დატეკოთ.

თაიგულისათვის ლარნაკი უბრალო ფორმისა უნდა იყოს. ზემოთი სამკაული თაიგულის კომპოზიციანზე მოქმედებს. ჭურჭელი შეიძლება იყოს: კერამიკული, ფაიფურისა, მინისა, ხისა, ლითონისა ან მოწნული. გამჭმარი ტოტები საუკეთესოდ გამოიყურება თიხის ჭურჭელში. ბალახისა და ვიწროფოთლებიანი თაიგული კი მინის გამჭვირვალე ჭურჭელში უფრო კარგი სანახავია.

ყვავილების განაწილება, სათანადო ლარნაკის გამოჩვენება და თაიგულის ბინაში განლაგება მოითხოვს მხატვრულ გემოვნებასა და სილამაზის შეგრძნებას. ყვავილთა და დეკორატიულ ტოტებს შორის პარმონიული შეთანაწყობა თაიგულის შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია. ეს შეხამება კანონზომიერების ძირითად ნორმებს არ უნდა სცილდებოდეს. მაღალი ყვავილები დიდი მოცულობის ჭურჭელში ჩაიდგვება, ხოლო პატარა და წვრილი ყვავილები - მომცრო ლარნაკში.

ბინაში თაიგულების განლაგების დროს გასათვალისწინებელია ოთახის არქიტექტურული სტილი, კედლის ფერი, განათება, საყოფაცხოვრებო საგნების ფერი და სხვა. კარგად შეკონილი თაიგული ამახვილებს ყურადღებას იმ საგნებზე, რომლებზეც თაიგულია განლაგებული, რაც ადვილად შესაძლებელია, უთავიგულოდ ძნელი შესაძენი იყოს. ბინაში თაიგულის განლაგების დროს ყურადღებას ვამახვილებთ სასადილო მაგიდაზე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, ოთახის შუაგულში დგას. სასურველია, პატარა მოცულობის თაიგულები მაგიდაზე დაბალ ლარნაკში იყოს მითავსებული, რომ მაგიდასთან მსხდომთ ხელს არ უშლიდეს ერთმანეთის დანახვასა და საუბარში; კარდაზე, დაბალ ტუმბოზე და ავეჯის სხვა სახეობაზე დიდი მოცულობის თაიგული უნდა დაიდგას. იასამნის ყვავილების ფერი რომ გავაძლიეროთ, იასამნის ტოტებს ფოთლები უნდა მოვაცილოთ.

კარდი, მიხაკი, ტიტა სასურველია ბროლის ან სხვა ძვირფასი სახის ლარნაკებში ჩავლით, ხოლო ფლოქსი, გაილარდია, გეორგინი, ციცინო, ფურისულა - თიხის ჭურჭელში.




თუ გინდა, რომ ძალიანი გაიზარდო

ამერიკელი მსახიობი ფრანკ ვილარდი მრავალი წლის მანძილზე აოცებდა ცირკის მოყვარულებს ერთი თავისი ნომრით. მანუჟე საშუალო ტანის ჩვეულებრივი ადამიანი გამოდიოდა, გაოგნებული პუბლიკის თვალწინ მისი სიმაღლე სწრაფად იზრდებოდა და სულ რამდენიმე წუთში ვილარდი 20 სანტიმეტრით იმატებდა... ვილარდის ეს ნომერი მარტო მაყურებლებს კი არა, მეცნიერებსაც აკვირებდა. ერთხელაც დაინტერესებულმა მეცნიერებმა პირდაპირ მანუჟე გადაუღეს მსახიობს რენტგენის სურათები და აი რა დაადგინეს. ხერხემლის ფორმას კუნთების ორი საპირისპიროდ მომუშავე ჯგუფი მართავს: პირველი ცდილობენ მოხარონ იგი, მეორე კი მის გამართვას ლაბობენ. იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში რომელ კუნთებს უფრო ძლიერად დაბაჟს ადამიანი, მისი ხერხემალი ან იზრდება, ან იმართება. ეს დაახლოებით ისევე ხდება, როგორც ხელების, ფეხების მოხრისა და გაშლის დროს, როცა ჩვენ შესაბამის კუნთებს ვებაძვით. ვილარდის ოსტატობა იმაში მდგომარეობდა, რომ არენაზე გამოსვლისას იგი მაქსიმალურად დაბაჟდა „მომხრელ“ კუნთებს, ანუ „კეცავდა“ ხერხემალს და მაშასადამე, სიმაღლეს იკლებდა. ნომრის შესრულების დროს კი მსახიობი ნელ-ნელა აღუწებდა „მომხრელ“ კუნთებს, ხოლო „გამართველ“ კუნთებს მაქსიმალურად დაბაჟდა და ამ დროს ხერხემალი თითქმის სწორი ხდებოდა. სწორედ ამიტომ ასერხებდა საზრიანი მსახიობი ერთი თავით გაზრდილიყო და ალტაცებაში მოეყვანა ამის შემხედვარე მაყურებლები. ახლა იალქნიანი ფლოტისდროინდელი მეზღვაური ოფიცრებიც გავიხსენოთ ფილმებიდან, წიგნებიდან. როგორი მოხდენილები და კოხტები იყვნენ! რატომ? თურმე იმიტომ, რომ დიდი დღეებისა და შტორმის დროს ოფიცრები ყოველთვის ცდილობდნენ მტკიცედ მდგარიყვნენ თავ-თავიანთ პოსტებზე და მაშინაც კი, როცა გემბანი ფეხქვეშ ეცლებოდათ, ფეხი არ მოეცვალათ, ამისთვის კი ზურგით ანძას ეკვროდნენ. ამის შედეგად კი ზურგი ლარივით სწორი, მხრები და მკერდი გამართული უხდებოდათ და ის „მქნდაურული“ მიხერა-მოხერა უშუშავდებოდათ, ყველა ნაღდ მუხღვაურს რომ გამოარჩევს. ალბათ ადვილად მიხვდებით, რომ სწორი, გამართული ზურგი სიმაღლის მომატებასაც ნიშნავს. აქედან გამომდინარე, გეინდა შემოგთავაზოთ მარტივი ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი, რომლებიც „გამართველი“ კუნთების ატუმბვების წყალობით „გაზრდის“ საშუალებას მოგცემთ, ერთდროულად კი მიხერა-მოხერას და სიარულსაც გაგიუმჯობესებთ.

შემოთავაზებული ვარჯიშების შესრულება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, ოღონდ ჭამიდან 1,5 საათის შემდეგ და ძილამდე 1,5 საათით ადრე. პირველი თვის მანძილზე თითოეული ვარჯიში 3-5 - ჯერ შეასრულეთ ისე, რომ მთელ კომპლექსს 12-15 წუთი მონადლოთ. თანდათან ვარჯიშების გამეორება 10-12-მდე, ვარჯიშის დრო კი - 25-30 წუთამდე გაზარდეთ. ეცადეთ თანაბრად ისუნთქოთ. ვარჯიში 3-5 წუთიანი მსუბუქი მოთელვით დაიწყეთ.

ვარჯიში 1. ეცადე, ბეჭებით გამოშვერილ კუთხეს შეეხო;
 ვარჯიში 2. თითის წვერებზე აწეულმა სცადე მისწვდე კარის ზედა ჩარჩოს;
 ვარჯიში 3. ნახტომში ხელებით შეეხე განივ თამასას;
 ვარჯიში 4. თავისუფლად დაეკიდე ღერძზე;
 ვარჯიში 5. თითებით შეეხე კედლს;
 ვარჯიში 6. ჯოხი იდაყვებში მოიქციე, გამოიზნიქე და შეასრულე ბრუნები მარჯვნივ და მარცხნივ;
 ვარჯიში 7. ჯოხი თავს ზევით ასწიე, უყურე მას და ისე შეასრულე დახრები მარჯვნივ და მარცხნივ;
 ვარჯიში 8. გაკვრივით მოძრაობები ხელებით მკერდის წინ და განზე ტანის მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალით.



1



2



3



4



5




6



7



8



საქართველოს ომისა და დემოკრატიის ეროვნული ცენტრი

მოწესრიგებული ადამიანი ხარ თუ არა?

უპასუხე „დიახ“ ან „არა“

1. მოულოდნელობები არ გსიამოვნებს?
2. ამა თუ იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ცდილობ, ყველაფერი წინასწარ აწონ-დაწონო?
3. გიყვარს, როცა შენი ნივთები თავ-თავის ადგილზე აწყვია?
4. საყიდლების სიას წინასწარ ადგენ?
5. დაწყებულ საქმეს ყოველთვის ამთავრებ?
6. გიყვარს, როცა ერთი და იგივე პიროვნებასთან გაქვს საქმე?
7. მოსაუბრის ლოგიკური არგუმენტები უფრო დამაჯერებელია შენთვის, თუ მისი ემოციური განწყობა?
8. საქმის დაწყებისას გირჩევნია წინასწარ იცოდე, რა ვადებში უნდა დაასრულო იგი?
9. შეგიძლია ნებისმიერ მომენტში ზუსტად გაიხსენო, სად დევს საჭირო ნივთი?
10. შეხვედრაზე ყოველთვის დროზე მიდიხარ?
11. შინიდან გასვლისას რაიმე საჭირო ნივთი იშვიათად გრჩება?
12. უკვე გაქვს დაგეგმილი, რას გააკეთებ მომდევნო სამი დღის განმავლობაში?
13. სკოლაში იშვიათად აგვიანებ?
14. შეგიძლია წლების შემდეგაც მოიძიო ოდესღაც ჩაწერილი ტელეფონის ნომერი?
15. სხვებისთვის მიცემულ სიტყვას ყოველთვის ასრულებ?

„დიახ“ - 1 ქულა; „არა“ - 0.

11-15 ქულა: შენ უადრესად ორგანიზებული და მოწესრიგებული ადამიანი ხარ. სიტყვები: „დამაგვიანდა“, „დამავიწყდა“, „მხედველობიდან გამოძრა“ შენს ლექსიკონში უბრალოდ არ არსებობს.

5-10 ქულა: საკმაოდ მოწესრიგებული ადამიანი ხარ. თუმცა არ მიგაჩნია, რომ ყოველი წუთი წინასწარ უნდა გქონდეს დაგეგმილი. იმპროვიზაცია, სილამუნა შენთვის უცხო ნამდვილად არ არის.

0-4 ქულა: აბსოლუტურად მოუწესრიგებელი, ბოჰემური ადამიანი ხარ.

გაქვს თუ არა კომპლექსები?

1. ერთი ნახვით შეყვარების თუ გჯერა?
 - ა) არა, ადამიანი ჯერ ახლოს უნდა გაიცნო - 1;
 - ბ) ეს ძალიან იშვიათად ხდება - 3;
 - ნამდვილი სიყვარული სწორედ ესაა - 5.
2. საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი ხარ?
 - ა) არა - 1;
 - ბ) გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ - 3;
 - გ) რატომაც არა - 5.
3. რამდენ ხანს უნდები დილით თავის მოწესრიგებას?
 - ა) მთელს საათს - 5;
 - ბ) ნახევარ საათამდე - 3;
 - გ) რამდენიმე წუთს - 1.
4. თუ ქუჩაში უცნობი ბიჭი (გოგო) გაგიღიმებს...
 - ა) თვალს ავარიღებ და გაეწითლდები - 1;
 - ბ) თავადაც გაეღიმებ - 5;
 - გ) გააჩნია, რა ხასიათზე ვარ - 3.
5. ძვირფასი ჩასაცმელ-დასახური თუ გიყვარს?
 - ა) ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ - 3;
 - ბ) დიახ - 5;
 - გ) რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია სუფთა იყოს - 1.
7. სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?
 - ა) ცურვა - 1;
 - ბ) ჩოგბურთი - 5;
 - გ) ფიგურული სრიალი - 3.

16 ქულამდე: გულდახურული, შებოჭილი და კომპლექსებით აღსავსე ადამიანი ხარ. ყველაფერი გაშინებს: ვერც საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმას ბედავ, ვერც თვალშისაცემი ტანსაცმლის ჩაცმას. სულ გგონია, რომ გარშემომყოფებს არ აინტერესებ. მიმზიდველი თვისება კი გაქვს, მაგრამ მათი გამოვლინებისთვის გაბედულება არ გყოფნის.

17-32 ქულა: საიმედო, გულდია ადამიანი ხარ, ამიტომაც ყველა ხალისით გიანჯლოვდება. იცი, რომ ბევრი სისუსტე გაქვს, მაგრამ ეს ხელს არ გიშლის შენი ღირსებები თამამად წარმოაჩინო. ნაკლებად გაღელვებს, როგორ შთაბეჭდილებას ტოვებ გარშემომყოფებზე. უბრალოდ ცხოვრობ და მორჩა!

33 ქულაზე მეტი: მტკიცედ ხარ დარწმუნებული საკუთარ ძალებსა და განუმეორებლობაში, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფნას ცდილობ და ამას იოლად ახერხებ კიდევ. უამრავი მეგობარი და თაყვანისმცემელი გყავს, თუმცა ბევრი თვლის, რომ მეტისმეტად თავდაჯერებული ხარ.

ხოვოს ჯიბუშაოთ ნიგნუ

მუშავებთ კრიტიკული აზროვნების უნარს.

უნდა გახსოვდეთ, რომ თეორიას და პრაქტიკას უერთმანეთოდ ფასი არა აქვს. თეორია და პრაქტიკა ისევე განუყოფელია ერთმანეთისაგან, როგორც წიგნი და ცხოვრება.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ წაკითხული სამუდამოდ დაგამახსოვრდეთ? აი, რა: კარგად უნდა აკვირდებოდეთ და ანალიზს უკეთებდეთ იმას, რასაც კითხულობთ. იცოდეთ, წიგნის გადათვალეურება არაფერს მოგცემთ. არც წაკითხული მასალის მარტოდენ ზეპირად დამახსოვრება იძლევა მყარ ცოდნას; წიგნი უნდა წაიკითხოთ გულდასმით, თუ შეიძლება ასე ითქვას - განცდით; ამგვარი წაკითხვის შედეგად ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება ძვალსა და რბილში გაგიჯდებათ და არასოდეს დაგავიწყდებათ.

კითხვისას არა მარტო სიტყვებს უნდა ხედავდეთ, არამედ უნდა გრძობდეთ და ხედებოდეთ მათში ჩადებულ აზრს. უნდა შეგეძლოთ წაკითხულის შეფასებაც. ვინც წიგნს ხშირად არ კითხულობს, მას ეს უნარი არასოდეს ექნება, ვინაიდან ცოტა კითხვა - ცოტა ცოდნაა, ხოლო ვინც ცოტა იცის, ის ვერც გაარჩევს - ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებათაგან რომელია სწორი და რომელი - მცდარი.

არც მარტო შეფასების უნარი კმარა: უნდა შეგეძლოს საკუთარი თავის გარდაქმნა წიგნების მეშვეობით გამოიმუშავებულ ჯანსაღ შეხედულებათა შესაბამისად; უნდა შეგეძლოს - მიბაძო შენს საყვარელ, კეთილშობილ გმირებს...

გახსოვდეთ! სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბებისათვის, სკოლაში სწავლასთან ერთად, აუცილებელია ზოგადი განათლების მიღება. საფუძვლიანი, ზოგადი განათლების შექმნა კი მხოლოდ და მხოლოდ წიგნის ყოველდღიური, გეგმავიერ კითხვითაა შესაძლებელი.

წიგნუაი და პიჩუაი

ბარონი მიუნჰაუზენი

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გაუმხიარუბელია ცრუპენტელა ბარონ მიუნჰაუზენის საარაკო თავგადასავლებს, მის ხრიკებსა და იონებს, რ. რასპეს, გ. ბიურგერის თუ კ. იმერმანის წიგნებში რომ არის მოთხრობილი. ბარონი იერონიმ ფრიდრიჰ მიუნჰაუზენი მართლა არსებობდა (1720-1797). წარმოშობით იგი გერმანიის პატარა ქალაქ ბოდენვერდერიდან იყო. სხვათა შორის, დღეს ამ ქალაქის სიმბოლო მისი გერბი კი არა, ყუმბარაზე გადამჯდარი მომღიმარი მიუნჰაუზენი გახდა. აქ მისი სახლ-მუზეუმიც არსებობს, მუზეუმის წინ კი მომცრო პავილიონი დგას, სწორედ აქ ართობდა ბაქია ბარონი ბოდენვერდერიელებს თავისი საბრძოლო გმირობის ტყუილ-მართალი ამბებით. ერთხელაც, მის მსმენელებს შორის ბიბლიოთეკარი და ანტიკური სამყაროს მკვლევარი, პროფესორი რუდოლფ ერიჰ რასპეც აღმოჩენილა, რომელსაც მოსწონებია ხალისიანი ისტორიები, დაუმახსოვრებია, ჩაუწერია ისინი და 1786 წელს წიგნად გამოუცია.



ყველას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას ყოველდღე დაუთმოს ერთი საათი, კვირაობით და არდადეგების დღეებში კი - არანაკლებ სამი საათისა.


წლის განმავლობაში ეს შეადგენს დაახლოებით 550 საათს. ერთ საათში 10 გვერდი რომ წაიკითხო - 550 საათში წაიკითხავ 5500 გვერდს. ესე იგი, საშუალოდ - 40 წიგნს.

ვინც წიგნს კითხულობს - ყველაროდი იძენს ღრმა ცოდნას; კითხვაც არის და კითხვაც... ერთნი კითხულობენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებათ, მეორენი კი - შერჩევით.

საკითხავი წიგნები უნდა შეარჩიოთ თქვენი ასაკისა და იმ საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ.

სასურველია, ერთსა და იმავე საკითხზე ან თემაზე წაიკითხოთ სხვადასხვა ავტორთა წიგნები; არ შეიძლება ამ წიგნებში; ნაწილობრივ მაინც, არ იყოს ერთნაირი მოსაზრებანი; ამიტომ, თითოეული მათგანის წაკითხვა „განვლილი მასალის“ ერთგვარი განმეორებაც იქნება; ამავე დროს ამ წიგნებში უსათუოდ ამოიკითხავთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს; ბუნებრივია, ამ თვალსაზრისთაგან მიემხრობით ერთს და უარყოფთ - მეორეს; ეს კი, თავისთავად, გამოვი-






პარკეტის ფილებს შორის გაჩენილი არეები სასურველია ტრაფარეტის მეშვეობით შეავსო. ტრაფარეტი სქელი ქაღალდის ან მუყაოსაგან გამოიჭრება, ზედ ფითხი წაესმება, ამოჭრილი „ფანჯრით“ იგი ფითხს და არეები ისე ამოივსება, რომ მოისვრება.







ეს რჩევა პატარა დიასახლისს გამოადგება. სანამცხვრე ნიგოზის დასამზადებლად ქვაროდინი რომ არ იხმარო, აიღე სახეხელა, ზედ კაკლის ლეხნები და აწყვე და ზემოდან მეორე სახეხელა გაუსვამოუსვი. წამიც და ნიგოზი დანაყილია.




აკვარიუმში თევზებისათვის შეგიძლია პოლიეთილენისაგან დაამზადო პირფართო „ორშიმო“. პოლიეთილენის პარკს რომელიმე



წებოშემხმარი ფუნჯის განახლება იოლად შეიძლება. ამისათვის ფუნჯის ლითონის ბუდეს დანით პირი გაუსხენი, გამოაძვრე ჯაგარი, შეაბრუნე და ბუდეში ჩასვი. შემდეგ ბუდე ბრტყელტუჩით დაავიწროვე, აჩეილი ჯაგრები მაკრატლით შემოალამაშე და... ახალი ფუნჯი შეგერჩება ხელთ.




როცა ალმასით მინას ჭრი, გადანატყერი რომ სწორი გამოვიდეს,




იმისათვის, რომ ზეთოვანი საღებავი არ ამოშრეს და არ გახმეს, საღებავს ზემოდან თხელი ქაღალდი დააფარე, ზედ კი ოლიფა მოასხი.

ალმასის ნაკვალევის გასწვრივ გახეთის სველი ნატყერი ან წებოვანი ლენტის უნდა დააკრა. მერე მინაზე ერთი-ორი დაკაკუნება და მორჩა, მინა გადაჭრილია.



თუ გინდა ზუმფარის ქაღალდი სწორად გაჭრა, ქაღალდს სახაზავი დაადე და ზედ ლურსმანი გადაუსვი.



კედელზე თუ ხელსაწყოების ჩამოსაკიდი დაფა გაქვს გაკეთებული, კარგი იქნება, თუ მასზე ყოველ ხელსაწყოს თავისი საკუთარი ფორმის ფონს შეუქმნი.



როცა ოთახის კედლები ბეტონისაა და მათი გახვრეტა ჭირს, კედელზე კალენდრის, ფოტოსურათის, მცირე ესტამპის ჩამოსაკიდებლად ჩვეულებრივი, ბოთლის საცობი კორპი უნდა იხმარო. კორპს ბაწრის ჩამოსადებად პაწია ლურსმანი დაასვი. თვითონ კორპს კი ბეწებო წააცხე და შპალერზე მიაკარი.

სიცილის გაჯუთილი

აფთიაქში აქლომინებული ბიჭი შევარდა და დახლს მიუახლოვდა: ნი - მომეცით ვალიდოლი, ვალკორდინი, ვალერიანის წვეთები, გიტროგლიცერინი, პირამიდონი...

-რა ხდება, ყმაწვილო, ვინ გაყავს ასე ცუდად ოჯახში?

-ჯერ არავინ, მაგრამ დღეს ჩემი კლასის დამრიგებელი უნდა მოვიდეს ჩემს მშობლებთან სალაპარაკოდ.

პატარა ლუსიმ თვალეები და ხუჭა და სარკეში ჩაიხედა:

-რას შვრები? - ჰკითხა დედამ.

-ვუყურებ, როგორ მძინავს.

მასწავლებელი:

-ჯონ, რატომ დაიგვიანე?

ჯონი: -მაპატიეთ, მასწავლებელო, დილით ყურები და კისერი დავიბანე, მეორედ აღარ ჩავიდენ.

დედა:

-ჰანს, ჩაყარე მურაბიან წყალში ნახევარი ჩაის კოვზი შაქარი და კარგად მოურიე!

ჰანსი: -კი, მაგრამ ნახევარი ჩაის კოვზი სად ვიშოვო?

-ვერ გავიგე, ამ არითმეტიკის რვეულში რატომ არაფერი გიწერია? - ჰკითხა დედამ მონიკას.

-ეგ რვეული ზეპირი ანგარიშისთვისაა და იმიტომ.

სოფელში ბებიასთან სტუმრად მყოფი პატარა მარენკა ძროხას


მიუახლოვდა და შოკოლადი გაუწოდა.

-რას აკეთებ? - გაცდა ბებიამ.

-არაფერს, ბებო, ჩვენს ძროხას შოკოლადს ვაჭმევ, ხვალ რომ კაკაო მოიწველოს...

-ბავშვებო, რა არის უსასრულობა?

-სამყარო და სასწავლო წელი,



პატივცემულო მასწავლებელო, - იყო ერთ-ერთი მოსწავლის პასუხი.

-დღესაც ორიანი მიგიღია, შვილო, იქნებ მასწავლებლის შეკითხვას ვერ იგებ?

-არა, მამი, ის ვერ იგებს ჩემს პასუხს.

მასწავლებელი: - მითხარი, ვილი, რა იცი, რომ დედამიწა მრგვალია და არაფერს ეყრდნობა. როგორ დაასაბუთებ ამას?

მოსწავლე: - როდის ვამტკიცებდი, რომ დავასაბუთო!

დედამ შეამჩნია, რომ ეზოდან დაბრუნებულ პატარა პიერს შარვალი და ფეხსაცმელები სველი ჰქონდა:

-რატომ ხარ სველი?

-მე და ანდრე ძაღლობანას ვთამაშობდით.

-მერე რა?

-მე ხე ვიყავი, დედიკო.

ოტო სკოლიდან ატირებული დაბრუნდა:

-დედა, ერთმა უფროსკლასელმა მცემა.

-მოდი, მოგეფერო, შვილო! თავხედი, როგორ გაბედა?! რაზე რომ იყოს, იმ ბიჭს იცნობ?

-ახლა იმას ყველა იცნობს, მისი ცალი ყური აქ მაქვს, ჯიბეში.

დილით პიერი სკოლაში წასასვლელად ემზადება. წიგნები მიყრილ-მოყრილი აქვს, ჩანთა - ჩასალაგებელი, ყველაფერი ეზარება, ბუზღუნებს:

-დედა, იცოდე, სკოლაში აღარ ვივლი! იქ ბოროტი მასწავლებლები არიან, ბავშვებიც სულ ჩხუბობენ.

-რას იზამ, შვილო, მაინც უნდა იარო სკოლაში, ნუ ბუზღუნებ, ჩანთა ჩაალაგე და წადი.



-არა, არ წავალ... არ შემიძლია... არ მინდა!

-პიერ, უნდა წახვიდე! ჯერ ერთი, პატარა აღარა ხარ, მეორეც, რაც არ უნდა იყოს, სკოლის დირექტორი ხარ!



იჭილე - მიჭილე

კროსვორდი




თანამიმღვრობით უგაართეთ ციფრები.


თარაზულად: 3. საქართველოს მთიანი კუთხე, რომელშიც იმოგზაურა აკაკი წერეთელმა; 5. პირველი ადამიანი; 8. მდინარე ყაზბეგის რაიონში; 9. „ეთერიანი“-ს მიხედვით, რა ერქვა აბესალომის დას? 10. ესპანეთის დედაქალაქი; 12. ჰიმალაის მთების უმაღლესი მწვერვალი; 13. ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთი ნახატი; 17. ქართველთა ვაზის ღვთაება ძველად; 19. ქვესკნელის სამთავიანი ძალი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ტიტანი, რომელსაც მხრებით ეჭირა ცის თალი (ბერძ. მითოლ.); 23. გუთანი ანუ...

შვეულად: 1. სამანძიანი გემი ძველად; 2. „მატეო ფალკონე“-ს ავტორი; 4. სოფელი, სადაც დაიბადა გ. ტაბიძე; 6. ქ. ანკარას ძველი სახელწოდება; 7. ძუძუმწოვარა ცხოველი; 11. ალაში, ანუ... 14. კანადის დედაქალაქი; 15. ერთუჯრედიანი ცხოველი; 16. თექვსმეტმარცვლიანი ოთხტაეპიანი ლექსი; 18. ევროპისა და აზიის გამყოფი მთათა სისტემა; 20. რომელი ქვეყნის დედაქალაქიათხიმფხუ? 22. სიმინდის ყვავილედი.

შეადგინა სკოლა „სარკმელის“ VII კლასის მოსწავლემ ვიორგი წერეთელმა



ღამხარამთ იხლილს თაპი აარილოს ჩანჩქმოს






სოფო ჩხეიძე, ბროსეს სახ. ფრანგული სკოლა, I კლასი



დათო სერგულაძე, სკოლა „საჩქაველი“, VI კლასი



ზვიად გერგუდაძე, სკოლა „საჩქაველი“, III კლასი



აპონდოლო გოგიაძე, სკოლა „საჩქაველი“, IV კლასი



სოფო ჩხეიძე
დათო სერგულაძე
ზვიად გერგუდაძე
აპონდოლო გოგიაძე